

დეა ლოპერ

უკანასკნელი ცეცხლი

და როს ჩემი სიცოცხლე ჩაიფერფლება,
შენგან დალეულ ჩემს სიყვარულს გიბოძებ
იმ კვამლიდან, რომელიც ჩემს აალებულ სხეულს აუვა

ცუნეტომო იამამოტო, ჰაგაკურე

ჩვენ

სუზანე

ლუდვიგი

როზმარი

ედნა

კაროლინე

ოლაფი

პეტერი

რაბე

და ედგარი †

ასევე

მახრჩობელა ჰუმბოლდტი

შენიშვნა

ტექსტი რომელსაც წარმოთქვამს ჩვენ არასოდეს არ უნდა წარმოითქვას ქოროს მიერ, არამედ ერთეულ ხმებზე უნდა იქნას გადანიღებული. კონკრეტული მთხრობელი, ანუ ფიგურა, ყოველთვის არ სახელდება; იქ სადაც ეს კონტექსტიდან არ გამომდინარეობს, რეჟისორს თავისუფალი არჩევანი აქვს.

კიუ შიშუა, დაბ. 1940 წელს სეჩუანში; მუშაობს და ცხოვრობს შენცენში

ორიათასი წლის ცხრამეტ აგვისტოს, შუადღეს
ორიათასი წლის ცხრამეტ აგვისტოს, თაკარა მზიან
შუადღეს

ეს იყო აგვისტო სანამ...

უკვე რამდენიმე წელი გავიდა...

ხუთი, სამი, ოთხი,

შვიდი...

უცხო კაცი

თაკარა მზიან შუადღეს, ამდაამ აგვისტოს

შუა ზაფხული იყო,

ხოლო შუქი,

მზის შუქი იმ აგვისტოს,

ისეთი თვალისმომჭრელი სიკაშკაშისა იყო,

სინათლე იმ აგვისტოს, რომ

საგნების, სახლების, ხეების, მანქანების კონტურები

და თავად ადამიანებიც კი,

ცხელი ყალიბით ამოტიფრულივით

ჩანდა მკაფიოდ...

გავარვარებულ კიდეებს რომ სტოვებს

ვიღაც, ვინც ქუჩაში შემოგხვდება

ამ შუა ზაფხულს...

მწველი შუქით გარშემორტყმული

თითქოს მოფრინავს...

თაკარა მზიან შუა დღეს ამადაამ აგვისტოს, სულ
რამდენიმე წლის წინ,

უცხო კაცმა შემოდგა ფეხი ჩვენს უბანში.

იმდენად უცხომ,

რომ არსაითაც არ გაუხედავს,

არც მარჯვნივ და არც მარცხნივ.

ქუჩას ქვევით დაუყვა,

შუა შარაგ ზაზე,

სამანქანო გზაზე,

ნელის ბარამდე

და იმის ნაცვლად რომ შესულიყო

მის წინ გაჩერდა,

ტროტუარზე

სადაც ბიჭი სახელად...

(დუმილი)

სადაც რვა წლის,

(პაუზა. სულ ჩუმად)

ედგარი

(პაუზა)

სადაც რვა წლის ბიჭი დაბნეული

უყურებდა თავის ბურთს, რომელიც

მორჩილად მოეთავსებინა ხელებს შორის.

სარქველიდან ჰაერი ეპარებოდა...

ბიჭმა უცხოს ახედა.

უცხომ კი ზურგჩანთა მოიხსნა, ბურთი აიღო,

დაატრიალა,

სარქველი შეამოწმა.

მათ უთქმელად გაუგეს ერთმანეთს.

თაკარა მზიან შუა დღეს, ამადაამ აგვისტოს, სულ
რამდენიმე წლის წინ,

ქუჩა მთელს სიგანეზე გადაეთხარათ და ისევ დაეფარათ.

გუდრონი აღარ მოუსხამთ. ჭუჭყი, ქვიშა, ლორღი... ამ

უბანშიც, როგორც ყველგან,

სიღამის, ნაგვის,
 განავლის მყარალი სუნია.
 მივიწყებული უბანი... უკაცრიელ, ტრიალ მინებამდე
 არმისული
 ის ქუჩას საშინლად ამტვერებს...
 ჩვეულებრივზე მეტად...
 როგორც ყოველთვის,
 საჭესთან ახლოს მიმჯდარი,
 დაუბმელი, ტარებაში გართული... ნაბახუსევზე,
 სისხლძარღვებში კოკაინგარეული...
 მტვრის ბულში მოდრიხინებს...
 მისი თავი, მოუსვენარი, ჩიტისმაგვარად
 საქარე მინის იქიდან იცქირება...
 მტვერი და მზე...
 გაზს აჭერს ფეხს...
 თაკარა მზიან შუა დღეს ამაღამ აგვისტოს, სულ
 რამდენიმე წლის წინ
 მოდის ოლაფი, კოკაინის ღუმელიდან გამოვარდნილი,
 მოპარული მანქანით
 სესხით, მხოლოდ სესხით გამოყვანილი
 მანქანით, რომელიც მას არ ეკუთვნის.
 არაამქვეყნიური სიჩქარით
 თითქმის ჩაუფრენს
 უცხოს და ბიჭს
 ბურთს რომ მისჩერებიან.
 ნელის შემოსავლის წყაროს წინ
 ოლაფი - კოკაინის ჩიტი-რაკეტა
 თაკარა მზიან შუადღეს რვა წლის ბიჭი ამით ისე
 დაფრთხება, რომ...
 თაკარა მზიან შუადღეს, აგვისტოში, სულ რამდენიმე
 წლის წინ,
 ედნა დაედევნა...
 ედნა, სულ ახლახანს დაწინაურებული -
 ეს-ესაა პოლიციის კაპიტანი გახდა,
 მორიგეობისას, მტკიცე შემართებით.

აუფ, რა გაგიმართლა ედნა
ის არის ეს, ის არის ის, არის? მე არც კი მჯერა...
ძებნაში მყოფი მკვლელი...
ბორბლებზე მიმავალი ბოროტება...
მე, ედნა განცი, სულ მარტო, რა სულელი ვარ...
მართლა გგონია რომ შესძლებ ედნა...
სხვა რა გზა მაქვს...
რა უფლება აქვს ედნას
კაცს სულ მარტო რომ დაედევნოს...
არანაირი, მაგრამ ედნა პატივმოყვარეა,
თუნდაც გული უსკდება, თითქმის ჩაისვარა შარვალში,
როდესაც ის თავისი ბომბით მანქანაში...
როდესაც ის ბომბის ფითილს მოუკიდებს...
რალა დაგრჩენია დადევნების მეტი, არავითარ
შემთხვევაში არ ჩამორჩე...
ის კი სულაც არ ყოფილა ქვეყნის მასშტაბით ძებნილი...
სულაც არ ყოფილა ტერორისტი...
მხოლოდ ოლაფია მანქანის ქურდი... კოკაინის
შურდული...
მხოლოდ მსგავსებაა, ოლაფი მხოლოდ ჰგავს
მკვლელს...
ის მხოლოდ ჰგავს, ზევით - მკვლელივით ქერაა,
ქვევით კი, მკვლელის სიჩქარით მოძრაობს...
მოძრაობს თავისი ჯაბახანით, რომელიც არც კი
ეკუთვნის...
რომელიც დანაღმულ მანქანას ერთი-ერთზე ჰგავს, მისი
არცაა...
არც არასოდეს ყოფილა მისი, ვერასოდეს იქნებოდა
მისი... კაცო, გაიგე
ედნა მორიგეა... მთავარია თვალი არ მოაშორო,
ნერვებმა არ გიმტყუნოს... არა, ნერვები არა... თვალი
როდესაც აფეთქდება, სად? სად? სად? ვაი, იქით მიდის...
ვაი...
რელსები... მატარებელი... სადგური... ამ აგვისტოს
თაკარა მზის შუქზე თავში სხვა არაფერი... ამ გაქცეული
საშიშროების გარდა... და არ ეშვება...
გამნარებული, გაოგნებული, შეშინებული,

არ ეშვება კოკაინის შურდულს...

ახლა კი,

როდესაც ედნამ მტვრის ბულში გახვეულ ბიჭს

ჩრდილივით რომ ეფარებოდა მზეს... უშუალოდ მის წინ... იქ...

დარტყმა

იგრძნო...

სრული სიჩუმე...

მხოლოს შუქი და მოტორი...

შუქის მოტორი...

შუქის როტორი...

შუქი ალისფერი...

შუქი...

მკვდრისფერი

ქუჩა...

უკაცრიელი...

სიცხე...

ჩვენ არ გვინახავს...

ჩვენ არ შევსწრებივართ...

მაგრამ ერთი მაინც არსებობს...

ერთი

თვითმხილველი...

თაკარა მზიან შუადღეს, ცხრამეტ აგვისტოს, სულ

რამდენიმე წლის წინ

უცხო კაცმა შემოდგა ფეხი უბანში, რომელიც შეიძლება

ჩვენიც ყოფილიყო,

შეიძლება ჩვენიც გამხდარიყო...

ის ქუჩას დაუყვა, მხარზე სამოგზაურო

ტომარაგადაკიდებული...

წელის ბარამდე...

სადაც ოთახი იქირავა...

ოთახი ქუჩისკენ.

2.

ჩვენ, ვინც ამ ისტორიას ვყვებით
 იქნებ სულაც არ ვარსებობთ...
 ჩვენ, როგორც ერთობა, რომლადაც ვაჩვენებთ თავს...
 ჩვენ სულაც არ ვარსებობთ...
 ჩვენ, ჩვენ მხოლოდ ვაკონინებთ ამ ისტორიას
 ნაფლეთ-ნაფლეთ...
 რამეთუ გვჯერა, რომ ერთად მეტი გვეცოდინება,
 ვიდრე თითოეულს ცალ-ცალკე...
 ჩვენ, ჩვენ ერთად შევიკრიბეთ,
 ძალღონე მოვიკრიბეთ,
 დროებით,
 მხოლოდ ამისთვის...
 ამ ერთი მიზნისთვის,
 მაგრამ ვიცნობთ კი ერთმანეთს...
 უკეთ გავიცნობთ ამის შემდეგ...
 შევძლებთ კი ერთმანეთს გავაგებინოთ...
 ეს, ზოგჯერ არის
 შესაძლებელი...
 ჩვენ, ნამსხვრევებს ვხვეტავთ,
 თავიდან ვანყობთ,
 დამსხვრეულ რაღაცას...
 რომელსაც მხოლოდ აქა-იქ ემჩნევა რაღაც...
 გავუგებთ ერთმანეთს...
 გაგება...
 ამაზე არასოდეს ყოფილა ლაპარაკი.

3.

თქვენ ნინაშეა
 მოკლული ბავშვის მშობლები...
 დაღუპული ბავშვის მშობლები...
 უბედურების ოჯახი...
 ლუდვიგ და სუზანე შრაუბე.
 ეს კი, ბატონი შრაუბეს დედაა —

შრაუბე როზმარი,
დაქვრივებული,
ალცჰაიმერის ბოლო სტადიით.
ვაჟიშვილთან ცხოვრობს, ორი სამი წელია
რძალი კი უვლის.

მოვლილი...
მზრუნველობა არმოკლებული
ჩვენ არ გაჩვენებთ,
თუ როგორ მიაღწია
შვილის სიკვდილის ამბავმა
მშობლებამდე...

არა ყვირილი...
არა შოკი...
არც ისტერიკა...

სუზანე ქალბატონ შრაუბას ხდის და აბაზანაში სვამს

ბებია, შრაუბესათვის, ყველაზე მძიმეა, რადგანაც
ისევ და ისევ ავინყდება, რაც მოხდა...

და ყოველ ჯერზე თავიდან უსკდება გული
ყოველ ჯერზე თავიდან...
პატარა სიკვდილი...

ეს დღეში...
პაუზა
დაახლოებით...

პაუზა
ექვსიდან რვა სიკვდილამდე იქნება...
რა შემზარავი ხარ...

მართალია და...

გაოგნების,
სიჩუმის უფლებას
თავს დიდხანს ვერ მისცემენ.

როზმარი შრაუბეს
შეუკავებლობა სჭირს,
ლამით ლოგინში იფსავს.
რა ქნან, თავის შარდში

ჩატოვონ ხოლმე ფრაუ შრაუბე...
 პამპერსის ხმარება არ სურს.
 ამდენი ჯერ კიდევ ესმის,
 რეზინის საფენი რად მინდა, ალუა ხომ არ ვარ...
 შეჩერება შეუძლებელი...
 უბედურების ოჯახი...
 მუდმივ ორომტრიალში...
 უბედურება, რომელიც ოჯახს
 პარაზიტივით,
 ობივით,
 კერძში შხამივით შემოეპარა.
 უნდა გააუვნებელყოფს,
 უნდა გაანადგურონ, უნდა აღმოფხვრან,
 უნდა შეიცნონ და ამოარწყონ
 ან...

სუზანე დედამთილს ღრუბელით ბანს აბაზანაში. ნელა.
 გულმოდგინედ.

ლუდვიგი: ფორტეპიანო სდუმს. ჰაერი დაძველდა.
ფრაუ შრაუბე: ედგარი სად არის? დღეს არ მოსულა ჩემთან.
სუზანე: ედგარი მოკვდა, როზმარი.
ფრაუ შრაუბე: მოკვდა – როდის? პაუზა ჯერ ხომ ძალიან პატარა
 იყო...

სუზანე: როგორ მოკვდა? ცდილობს გაიხსენოს სად არის?
 რამდენი წლისა? რომელი წელია? რომელ წელს?
 აბა ერთი ხელი ასნიე... – ზევით ლუდვიგს მიმართავს
 დაკვრისას ყოველთვის ფანჯრებს ვალებდით. ბგერებს
 ჰაერი სჭირდებათ. მუსიკა გარეთ უნდა გაედინებოდეს.

ლუდვიგი: მეზობლებმა იჩივლეს... ისევ.
სუზანე: რა გგონია, რომ მარტო დავუკრავ? მარტო და თანაც ღია
 ფანჯრებში? შენ გგონია...

ლუდვიგი: შენი დაკრულის მოსმენა ძალზე დამაკლდა. ადრე
 კიბეზევე მესმოდა. ქვევით ქუჩაშიც მესმოდა. ქუჩის
 კუთხეშიც კი მესმოდა შენი დაკრული... დუმილი აი, ეს
 მაკლია.

პაუზა

სუზანე: ხეს ნესტი შეეპარა და დაღმა. უნდა გავაჩუქოთ ეს ფორტიპიანო, მას მუსიკალური ხელიც ვედარ უშველის.

ლუდვიგი: მე ამისი არაფერი გამეგება.

სუზანე: თანაც, დედაშენი ორპირ ქარში არ უნდა იჯდეს. ფანჯარაში გავიხედები. სიჩუმე რალაც ახალია და მას თავისი სივრცე სჭირდება.

ლუდვიგი: აგვისტოა, შინაგანად იწვი.

სუზანე: ეგებ ხვალ გავხსნათ ფანჯრები და სიჩუმე გარეთ გავუშვათ. რას ფიქრობ, როზმარი?

ფრაუ შრაუბე: სად არის ?

ლუდვიგი: ედგარი ექსკურსიაზეა კლასთან ერთად.
(სუზანე გაოცებული შეხედავს)

ფრაუ შრაუბე: აჰ, ასეა. პაუზა ღამისთევით წავიდნენ. პაუზა ესეიგი მალე დაბრუნდება

ლუდვიგი: ჰო, დედა მალე დაბრუნდება.
(პაუზა)

ფრაუ შრაუბე: სად წავიდნენ?

პაუზა. ლუდვიგი სუზანეს ანიშნებს

სუზანე: ზღვაზე. ჩრდილოეთის ზღვაზე არიან, იქ მიქცევაა და მოქცევა. ახლა სკოლაში ამას გადიან. ჯებირების გაშენებას, მარილის წარმოებას, ნიჟარებს, ლოკოკინებს, თევზებს. საიდან გაჩნდა სიცოცხლე, როგორ იცვლება დიუნები და სანაპირო ყოველ დღე. რატომ ჭამს ზღვა დღითი-დღე მეტ მინას, როგორ ასუფთავებენ წყალს ავარიული გაჟონვის შემდეგ.

ფრაუ ფიშტი: აჰ, ეს ზეთი თვალებს მწვავს
(სუზანე თვალებს უმშრალებს)

სუზანე: აი, ქალაქებზე ჩამოგინერე, რაიმე რომ არ დაგავინყდეს —
თეთრეულთან დაგიდებ, როზმარი.

როზმარი: ახლა არ მინდა. ლოგინში ქალაქების გარეშე წოლა

სუზანე: მირჩევნია, ხვალ დილისთვისაა - გამახსენე, რომ გაგახსენო.

როზმარი: თუ არ დამავინყდა (იციინიან, როზმარი დასაძინებლად მიდის)
ლუდვიგი: ქამარი შემოგიქვია, ჩულქები გძვრება, ტანისამოსს 90 გრადუსზე რეცხავ, რომ დაპატარავდეს. რალაც უნდა ქამო.

სუზანე: არ მინდა, არ შემეძლია. აღარაფერი მინდა ვქამო ისეთი, რასაც გული აქვს.

ლუდვიგი: (ამოიკენებს) სუზანე
სუზანე: ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. ხომ მართალი ვარ? ფორტეპიანოზე უნდა დაუკრან. პური უნდა დაიჭრას... გული უნდა ცემდეს...

ლუდვიგი: მაშინ ბრინჯი ქამე, ან კვერცხი...
სუზანე: დღე უნდა გათენდეს. ფული უნდა გამოიმუშავო. გული უნდა ცემდეს.

ლუდვიგი: სიას ჩამოვწერ. დუმილი კარგი იქნება, ვიცოდე, რა მაქვს გასაკეთებელი, როგორ ვუშველო ჩვენს თავს... მაგრამ ამას ვერავინ მეტყვის.

სუზანე: იდეები უნდა იშვას. გული უნდა ცემდეს.
ლუდვიგი: ნაკადულის კალაპოტში მოქცეული ერთი პატარა, წახნაგიანი კენჭი ხარ. წყალს ათასობით წელიწადი სჭირდება, რომ დაამრგვალოს და გლუვი გახადოს.

სუზანე: იმ კაცზე თუ გაიგე, რომელიც შეესწრო, როგორ იფრინა ედგარმა შაერში და როგორ დაენარცხა ძირს. იცი, რა გააკეთა...
ლუდვიგი: როგორ არა, ეს ყველამ იცის.

სუზანე: მართლია, ყველამ იცის. პაუზა. ისიც აღარ უკრავს ფორტეპიანოზე.

სუზანე: დუმილი.
ლუდვიგი: ვცდილობ, რომ დღეები აღარ დავთვალო და გზა გავაგრძელო... უბრალოდ გზა გავაგრძელო.

სუზანე: ბილეთები ვიპოვე...

სუზანე ლუდვიგის ჩანთიდან ლატარეის ბილეთების დასტას ამოიღებს და მაგიდაზე გადმოყრის

სუზანე: ზედმეტი დრო და ფული გაქვს. როგორ იცლი ამისთვის?

ლუდვიგი: ეს ხომ არავის ავნებს.

სუზანე: ჩვენი შვილი მოკვდა. პანაშვიდზე მოტანილი ყვავილები ჯერაც არ გამხმარა... ნაცარი არ გაცეიბულა... შენ კი ლატარეას თამაშობ. გული გაქვს?..

ლუდვიგი: ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ...

სუზანე: ნახევარ მილიონს თუ მოიგებ, ერთს, ხუთს, ათს, მერე ბედნიერი იქნები. მერე კარგად იქნები. ეს სიკვდილს გადაწონის... ან კი... რა ღირს დავინყება? რამდენად ძვირია შენი მეხსიერება? რამდენი უნდა გადაუხადო შენს თავს, რომ უდარდელად გაიცინო? რომ გული სიხარულით თრთოდეს და ფრიალებდეს?

სუზანე ლუდვიგს ურტყამს

ლუდვიგი: მე არასოდეს... მე ვერასოდეს მოვიგებდი...

ლუდვიგი სუზანეს სცემს

სუზანე: განა, შენ თვითონ არ ნახე, რომ ყველაფერია შესაძლებელი, სულ ახლახან შენ თვითონ არ გადაიტანე... ერთმანეთს ურტყამენ. ერთმანეთი მაგრად უჭირავთ.

ლუდვიგი: ჩემნაირმა კაცმა, როგორ უნდა მოიგოს ლატარეაში. ბედისწერა არ არსებობს. ეს შენს ქმარს დაუმტკიცებდა, რომ შემთხვევითობა განაგებს... თუ შემთხვევითობა განაგებს, მაშინ ყოველივე უფრო მარტივია. ჩვენი ბრალი არ ყოფილა. ჩვენზე არ ყოფილა დამოკიდებული.

ერთმანეთს ურტყამენ. ერთმანეთი მაგრად უჭირავთ.

სუზანე: პირიქით. თუ ჩემი ქმარი მოიგებს, ლატარეაში თუ მოიგებს, ეს ბედისწერა იქნება. ან ღმერთი... რომელიც

ასე უღმობლად... რომელიც ორმაგად დასჯის.
ერთი ტონა ოქრო, მდიდარი კაცი... მკვდარი ბავშვით...
ბებერი ღმერთის თვითნებობა... შეგიძლია ისევ გწამდეს!
შემიძლია ისევ მწამდეს...

ლუდვიგი: ჩემი, ჩემი უნდა გწამდეს...
ერთმანეთს ურტყამენ. ერთმანეთი მაგრად უჭირავთ.

სუზანე: არ წახვიდე... არ წახვიდე! არ მიმატოვო, ჩემთან დარჩი...
ჩემთან დარჩი...

4.

მერე იმ უცხოს სახელი გავიგეთ,
რაბე ერქვა.
რაბე (გერმანულად: ყვავი) ... სხვა რა უნდა რქმეოდა...
მაიერი, რაბე მაიერი.
რა როგორ? წინ რა არის და უკან?
რაბე სახელია, მაიერი კი გვარი.
შემდეგ კი უცხოს ხმა გვესმოდა...
სანამ მის სახელს, ან რაიმე სხვას
შევიტყობდით მასზე, მისი ხმა გვესმოდა.
ოთახი იქირავა...
უბედურებიდან სამი წუთის შემდეგ
იქირავა ოთახი...
იქ ჩაიკეტა
და მისი ყვირილი გვესმოდა...
მთელი შუადღე და საღამო ყვიროდა...
მთელი ღამე და მთელი შემდეგი დღე ყვიროდა...
დღე, ღამე და დღე
ყვირილი... რას ნიშნავს?...
მისი ყვირილი ისეთი იყო, თითქოს ვიღაც ძალიან
მაღლიდან ვარდებოდა...
ძალიან სალი კლიდან, 42-სართულიანი

ცათამბჯენიდან...
 კოშკის წვერიდან ან საბაგირო გზიდან...
 და მას ამ ვარდნის გადატანა კიდევ ერთხელ უწევს,
 როგორც კი ჩავარდება... ისევ და ისევ...
 სამუდამოდ აქვს მისჯილი ვარდნა და ვარდნა და
 ვარდნა... გაუთავებელი სიკვდილის შიშით...
 ჩვენ ველოდით,
 რაბე მაიერი ყვიროდა.
 ექიმი მოვიყვანეთ,
 მასთან ავიდა და რაბე საწოლზე ჩამომჯდარი დახვდა.
 ზენარი სისხლიანი ლაქებით დაფარული...
 ყვიროდა და თან ფრჩხილებს იქლიბავდა.
 სალამოს, ლამე, მთელი დღე...
 ოცდაოთხ საათზე მეტ ხანს...
 რკინის ქლიბით იქლიბავდა,
 ფრჩხილები მტვრად იქცა...
 ხორციც აღარ შერჩენოდა თითის ბალიშებზე...
 მას ორივე, ფრჩხილები და ხორცი, ერთად გაეხეხა...
 ძვლამდე ჩასულიყო...
 ექიმმა ხელები გადაუხვია.
 ყოველი თითი ბინტით სათითაოდ შეუხვია.
 ძილის ნამალიც მისცა
 და ტკივილგამაყუჩებელიც.
 იქ უნდა დარჩენილიყო,
 ვინრო ოთახში, ბინდში
 დახურულ ფარდებში...
 ნეტავ ოდესმე თუ გახსნიდა...

5.

ედნა, კაროლინე და პეტერი ოლაფის ოთახის წინ.
 კაროლინეს მკერდის ორმხრივი ამპუტაცია (კიბო) აქვს
 გაკეთებული და შეგნებულად არც პროტეზებს ხმარობს
 და არც იმპლანტანტებს.

ედნა: ვიცოდე მაინც, რატომ
პაუზა.

პეტერი: აბა, კაცო, რატომ...

ედნა: გაეჩერებინა მაინც...

პეტერი: აბა რა...

კაროლინე: კოკაინიანი... ქალაქში ორასით... თანაც ძალღი
დაედევნა...

რას გააჩერებდა...

ედნა: მე ხომ პომბს დავედევნე. ამასთან კი, რა შქვია, ოლაფი,
არაფერი მესაქმებოდა. რა ვიცოდი, რომ ის არ იყო,
ლმერთო ჩემო, ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი. პირი მაინც
გაელო...

პაუზა.

პეტერი: მართალია, კაცო, გესმის? რატომ არაფერი თქვი? რა
თევზივით დამუნჯდა... პაუზა. ეს ძველი...

დუმილი. პეტერი საზარდულთან და თავთან იფხანს.

პეტერი: მგონი, აქ არ არის.

ედნა: როგორც თქვენ ამბობთ, ხშირად უთხოვია თქვენთვის
მანქანა.

კაროლინე: უთხოვია, აბა რა.

პეტერი: უთხოვია, როგორ რა.
პაუზა.

კაროლინე: ყოველთვის აბრუნებდა

ედნა: ასეთი მოხმარება, კანონით ისჯება. ოლაფ, ეს არც თუ
ისეთი საშინელებაა. ქურდობისნაირი საშინელება არ
არის.

კაროლინე: ღმერთო, რა ჩახუთულია აქაურობა. ნეტავი არ
ნამოვსულვიყავი.

პეტერი: ეი კაცო, შე ძველო, რა გიქნია. რატომ? პაუზა აქ არ
არის.

დუმილი

კაროლინე: რომ მცოდნოდა, რომ მართვის მონშობაც კი არა აქვს...

ედნა: არაა.

პეტერი:

ფული საიდან უნდა გვექონოდა. (იღლიების ქვეშ და თავზე იფხანს)

ედნა:

თქვენ ბრძანდებით... ბატონი... ენათესავებით...

პეტერი:

პეტერი – ჩვენ ვწერაობთ. დუმილი. ძალიან მორიდებულია. სტუმარი რომ მოდის, პირველს მე

ედნა:

მიშვებს ხოლმე ჩაის გასაკეთებლად და სასაუბროდ. სულაც არ არის სასაცილო, შე ტრაკო. ბრალდება უნდა წაუყენონ. ნარკოტიკები, მოპარული მანქანა – ნაჩუქარი; აიყვანენ არაგანზრახ მკვლელობისთვის. იცი ეს რას ნიშნავს?

პეტერი:

ნახევრად კი. მას არ გაუტანია ბავშვი, მას არა.

ედნა:

არა, მე გავიტანე ბავშვი, მითხარი სიმართლე, ზუსტად ასეა, მე გავიტანე ბავშვი, იმიტომ რომ შენი ტიპი გადაქანებული ნარკომანი ტრაკია... ქალაქში ასით დაჰქრის, მუხრუჭის ხმარება არ იცის და ბოლოს, იმდენად გათიშულია, რომ თავის დრანდულეტს ჯანდაბის სახლის კედელზე

ედნა:

ამსხვრევს... მაგრამ პასუხს მას მოსთხოვენ, მე კი არა, იმიტომ რომ სწორედ მისი ბრალი იყო. ბიჭიც მან დააფრთხო თავისი გადარეული სიარულით, იმიტომ

ედნა:

გადაირბინა ქუჩაზე-კარებისკენ იყურება და ამბობს — დამნაშავეა... მიზეზიდან გამომდინარე წინანარ გათვლადია,

ედნა:

აცილებადია. ასე სწერია დასკვნაში; ახლა ხომ გესმის, შე გადამწვარო იდიოტო, პირობითი სასჯელის გარეშე პირდაპირ ციხეში გაგიშვებენ... მე კი, ფულადი ჯარიმის მეტი არაფერი მეკუთნის.

პეტერი:

ხმამალალი მუსიკა. პეტერი კისერს და მკლავებს იფხანს

პეტერი:

მაგრად გამოძვრები. მეტი რა გინდა... დაქანცული. ორივე დამნაშავენი ვართ. თუ არა...

ედნა:

თვალეში მაინც ჩავხედავთ ერთმანეთს. კაროლინეს მიმართავს. ისე, როგორც მე და თქვენ.

პეტერი:

შეიძლება, მაგრამ აუცილებელი არ არის. გეუბნები, აქ არ არის.

ედნა:

აბა, შიგნით ვინ არის... ხმები საიდან გამოდის?

პეტერი: ოლაფ, ძალი შენტანაა? ტოელე შენტანაა? პაუზა. არა, ხომ გეუბნები, არაფინაა.

ედნა და კაროლინე ფეხებზე იფხანენ.

ედნა: მინდოდა მენახა, როგორია. საერთოდ თუ არსებობს. იქნებ მხოლოდ დამესიზმრა.

პაუზა

კაროლინე: ოლაფი ადრე ჩემი მოსწავლე იყო. ყოველთვის ასეთი არ იყო – ჩაკეტილი.

პაუზა.

აქ ისეთი სინესტეა და სიცხე... რაც თქვენთან ერთად არის, წონაში სულ უფრო და უფრო იკლებს. კლუბში, კიდევ დადის. ჭკუით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ კარგი სპორტსმენი იყო, ამტანი, ამტანი და...

პაუზა

ჩემი მანქანა – უკვე თოთხმეტი წლისაა. ეს მანქანა პირადად მაკავშირებდა აღმოსავლეთთან, ჩემი მოძრავი „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“¹ იყო, ზუსტად ასეა; მე ამ მანქანით ბოსფორამდე ჩავსულვარ, უფრო შორს – ადაპაზარიმდე, ანკარამდე, აკსარაიმდე, ადანაში, ანტალიაში. იქ გავჩერდი. წინა ბორბლები აქაურია, უკანა აზიური იყო, ახლა ჯართია... მე კი - ჩინეთში ვაპირებდი წასვლას.

ედნა: თუ სწორედ ნავიყვანთ საქმეს, იქნებ პირობითი სასჯელიც მიიღოს; მეც აღარ ვინერვიულებ.

პეტერ: ოლაფ, ჩაუწიე რა მაგ მუსიკას. ოლაფ, ძალი უკვე გაასეირნე?

ედნა და კაროლინე ფეხებს იფხანენ. რამდენიმე ნაბიჯით გავლენ გვერდზე. თეთრი სკამები სულ გაშავებულია. პეტერი გვერდებს იფხანს.

¹ იგულისხმება გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“

პეტერი: ამას ვერ გადაიტანს. უბრალოდ ვერ გადაიტანს. საერთოდ აღარ გადის ამ ამბის შემდეგ გარედ. სამი დღეა თვალი არ მომიკრავს. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ მხოლოდ ღამით დაბრუნდა სახლში. ხელები დაკანრული და გადაყვლეფილი, აქა-იქ პატარა ჭრილობები და სრულ კაიფში... მაინც ბოლომდე ფხიზელი, ისეთ მდგომარეობაში იყო, ნაქცევას რომ აღარაფერი უკლია... რა მოხდა, ვეკითხები მე; ვილაც გავიტანე, მეუბნება ის; ვილაც გავიტანე... დუშის ქვეშ ვუკარი თავი... ყინულივით, ყინულივით, ყინულივით წყალში და შემდეგ საწოლში. მეორე დღეს პურზე გავედი და როცა დავბრუნდი, ოთახში ჩაკეტილიყო. დანარჩენი გაზეთიდან შევიტყვე. *პაუზა.* მას სულაც არ გაუტანია. – *კარებისკენ მიტრიალებული ყვირის* – დიახ, სახლშია, მაგრამ არა, მას არ გაუტანია.

კაროლინე: ეს რა არის?

ედნა: ...*სანტრა?*

კაროლინე: ეს რა არის? ღმერთოჩემო ღმერთოჩემო ღმერთოჩემო ღმერთოჩე... აიაიაიაიაიაია... ყველაფერი შავია... ყველაფერი შავი და თანაც როგორი ცოცხალი...

პეტერი: ეს მე... ბოდიში... უბრალოდ არ შეხედოთ - ვერ შეაჩერებ, მე ვერ ვართმევ თავს... სულ უფრო მეტნი არიან, საოცარი სიჩქარით მრავლდებიან... ეს ძალღის გამოა...

კაროლინე: სკამი ცოცხალივითაა!

პეტერი: მინიდან ამოდიან, ღრიჭოებიდან, ხის ღრიჭოებიდან. დეზინფექცია ამ პარაზიტებს უფრო აგრესიულებს და გამძლეს ხდის. ეზოში ყოველი ჩასვლისას, ახლები ამოჰყავს, მაგრამ ადამინზე არ გადადიან. უბრალოდ არ შეხედოთ, მხოლოდ ძალღს ერჩიან. ხოლო რაც ოლაფი თავის ოთახში აღარ მიშვებს, ის ძალღთან ერთადაა და მას არ ბანს, უფრო და უფრო მრავლდებიან. მე კი შევეჩვიე და სხეულს ყოველ საღამოს "აუტანის" ლოსიონით ვიზელ, მაგრამ ძალღისთვისაა გაუსაძლისი, თვალღს ძლივსღა ახელს და მხოლოდ სიშავეს ხედავს.

აქ ყველაფერი დაფუთფუთებს, მხოლოდ სამ ფეხზე,
მეოთხე კი კაუჭივით აქვთ გამოდებული...

კაროლინე: ყველაფერი სავსეა...

ედნა: რწყილებით...

პეტერი: ოლაფ, ოლაფ, გამოდი... ძალი მაინც გამოუშვი... ან
შემომიშვი, დავალაგო მაინც...

ხმამალალი მუსიკა

6.

უცხოს დაკითხავენ.

ამყამად

არსადაა ჩანერილი.

საიდანაც ჩამოვიდა,

იქ არავითარ შემთხვევაში არ მინდა დაბრუნებაო.

არ შემიძლია, არ შემიძლია, არ შეიძლებაო...

რალაცის ცნობას აჩვენებს,

ხელები უკანკალებს

დაქვეითებული შრომისუნარიანობა...

ქრონიკული დაღლილობა...

გულის ფრიალი...

თვალთ უბნელდება... ზოგჯერ, უცაბედად, ჩამოჯდომა

უნევს...

რაიმეს უნდა მოეკიდოს... სიშავე, თავბრუსხვევა, რეტი...

ერთი ჭიქა წყალი, ერთი ნაჭერი პური, დიაბეტიანივით...

ხანდახან პურს ამოარწყევს...

ის ამოარწყევს პურს...

რას მელადავები...

მერე ისევ არა უჭირს რა,

ახლა ისევ არა უჭირს რა,

დიახ, არა მიჭირს რა გმადლობთ... კარგი რა...

სამწუხაროა, თუ თქვენ...

კარგი რა...

სხვა დროს ხომ არ...

მაგრამ რა დაინახეთ?

ზუსტად რა მოხდა?

ჩვენთვის მნიშვნელოვანია,

განსაკუთრებით ჩვენი კოლეგის გამო,

ინფორმაცია მომხდარის შესახებ... ინფორმაცია...

მხოლოდ ეს ერთი

და აქედან უმალ...

დიახ,

ამბობს უცხო,

დიახ, დიახ, ყველაფერი დავინახე...

იქ ვიყავი... დიახ, დიახ, ყველაფერი — ყველაფერი

ვნახე... ყველაფერი...

მაგრამ იქ რა, რა მოხდა...

შემდეგ გადავარდება და ჩაიძინებს. როგორც ჩანს, ეტყობა,

ან სულაც,

გული წაუვიდა...

გონებას დაკარგავს...

მოგონებას არ სურს, რომ თავი მოაგონოს...

ამ ვილაციის წყალობით...

და ცოტა ხნით თავის მეგობრებს: ღამეს, ძილს,

სიზმრებს —

რაბეს სხეულში ჩააბრუნებს...

ბინტიტ გადახვეული თითებიდან კი ხედავენ, თუ

როგორ ჟონავს სისხლი; თეთრი თითის ბალიშები —

ნითლდება... ხუთთითა ნაკადი... ათთითა ნაკადი...

იზრდება და თითების დელტიდან იატაკზე იწყებს

წვეთას, ხოლო იატაკზე დანვეთებული, განშტოებული

ნაკადები ერთმანეთისკენ მიედინებიან... ერთმანეთში

ჩაედინებიან, ჩაენვეთებიან... მაშინ როდესაც მას

სძინავს, სისხლი, უცხო კაცის სასტუმროს ოთახის

იატაკზე მიედინება, დროშასავით წითელი, ალივით

წითელი...

ის მთლად კარგად აღარაა...

მას შემდეგ რასაც შეესწრო იქ...
 ომში...
 ომზე ყოველთვის ამბობენ იქ და
 არასოდეს აქ, ან აქვე...
 ყოველთვის იქ...
 ამან ძალიან იმოქმედა მასზე...
 ნამეტანი იყო, ნამეტანი მისნაირისთვის...
 ღმერთო ჩემო, ჩვენ მასთან შედარებით,
 ქვისა და რკინისაგან
 თუ ხისაგან
 ვართ ნაკეთები...
 ან არა...

7.

კაროლინე: მე ისე იშვიათად დავდივარ მანქანით. რა ვქნა,
 იშვიათად დავდივარ. სანამ შევნიშნე. ტახომეტრი სხვას
 აჩვენებს, ბაკი ცარიელია.

ლუდვიგი: გასაღები საიდან უნდა ჰქონოდა?

კაროლინე: ადრეც გაუტეხია მანქანები, მთლად ასეც არაა.

ლუდვიგი: მაინც რამდენს აბედიანებ...?

კაროლინე: გაცოფებული ვიყავი. ჰგონია, რომ ჩემთან გაუვა...
 როგორც ადრე, სკოლაში...

ლუდვიგი: ყოველთვის ამას გეუბნები — შეუტეე, კაროლინე,
 შეუტეე.

კაროლინე: ღამით სადმე გაქანდებოდა, დილით კი, მოტორი ჯერ
 კიდევ ცხელი იყო, ხელს რომ ვადებდი — გული მენვოდა.
 ხომ გესმის... როგორ ცდილობდა, ძალ-ღონეს არ
 იშურებდა, რომ არაფერი შემენიშნა. ვითომც არაფერი
 მომხდარა. მანქანაში არც ერთი "ბიჩოკი", არც ერთი
 ლუდის ქილა, არც ერთი თმა...

ლუდვიგი: ყვავილების თაიგულილა აკლდა... საჭის უკან
 გარჭობილი, მადლობის ნიშნად. კარგი იქნებოდა
 არა? ალბათ ეს მოგეწონებოდა. ბედნიერებისაგან
 გადაირეოდ. ჰაუზა. როგორ არასოდეს არ იცავ შენს

ინტერესებს. ყოველთვის ყველას უნდა გაუგორო კოჭი. ყველაფრის გაცემა გიყვარს. მაშინაც კი გაიცინებდი, ვინმემ რომ...

კაროლინე: ჰო, არ უნდოდა ჩემთვის გულის ტკენა... ჩემი განზილება... მანქანა რიჟრაჟამდე მოჰყავდა უკან, რომ არ მენერვიულა... მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, გასაღები მანქანაში ჩავუტოვე.

ლუდვიგი: იმის ნაცვლად, რომ პოლიციისათვის შეგეტყობინებინა... პაუზა. მაშინ ჩემი შვილი ცოცხალი იქნებოდა... შენ რომ...

კაროლინე: შენ როგორი მოგეწონებოდი.

ლუდვიგი: საკუთარი ნება უნდა გქონდეს.

დუმილი.

კაროლინე: გასაღები მანქანაში ჩავტოვე; შუქი აღარ აშინებდა. უთქმელად მოდიოდა და მიდიოდა. ჩემს თვალწინ... ხანდახან ფანჯარაში ვხედავდი ერთმანეთს.

ლუდვიგი: ამაზრზენია. ამაზრზენია. ამაზრზენია. ეს მუდმივი მორჩილება!

კაროლინე: რალაციტ შენს თავს მახსენებდა. ფარულად მოსვლა და ნასვლა;

შიში, რომ გითვალთვალებენ; შემდეგ კი გასაღების ქონა, უსიტყოდ და ჩქარა აღება იმისა, რაც გჭირდება, ვითომც ამაში არაფერია... თავის მოჩვენება, თითქოსდა რაიმე გრძნობა გამოძრავებს-

ლუდვიგი: შენ, მაგარი ბოზი ხარ...

კაროლინე: ეჰ, ლუდვიგ, შენთვის ყველაფერს გავაკეთებ.

ლუდვიგი: რომ შემეძლოს იცი, რას გიზავდი...

კაროლინე: მიდი - დამარტყი. თუ ჩემი მორჩილება ასეთი ამაზრზენია შენთვის... შენ როგორი გირჩევნივარ.

წელს ზევით გაიხდის. მოკვეთილი მკერდის ნაიარევები ჩანს.

კაროლინე: გეცოდები.

დუმილი

კაროლინე: გეცოდები.

დუმილი

კაროლინე: იმიტომ მტყნავ, რომ გეცოდები.

ლუდვიგი: არა, არა... ცხადია არა.

კაროლინე: ამაზრზენია... ვნების აღმძვრელია. ამის გამო...

მიპასუხე. ყოველთვის შენს განკარგულებაში მყოფი, უწყინარი, უნებისყოფო მკერდის კრატერები. შენ ეს ალგაგზნებს — სექსი ამპუტირებულთან.

ლუდვიგი: არა, ცხადია, არა.

კაროლინე: ღმერთო, რა ჩვეულებრივი ხარ. ნუთუ შენი თავი არ გწყინდება, ასეთი ჩვეულებრივი რომ ხარ.

დუმილი

კაროლინე: იმას წარმოიდგენ ხოლმე, რომ მიყვარხარ?

ლუდვიგი თავს აქნევს უარყოფის ნიშნად. დუმილი.

ლუდვიგი: იმ დღეს, პირველად რომ ვნახეთ ერთმანეთი, რვა

წლის წინ, შუა ზაფხულში, სკოლის ეზოში. სუზანეს ველოდებოდი და ამ დროს შენ გამოიარე... შემიყვარდი... წარმოუდგენელია. უბრალოდ ისე... ერთი შეხედვით.

არ არსებობს... ვცდილობდი ამომეგდო თავიდან.

ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, რომ შთაგონებაა და გადამივილის. მაგრამ არ გადამიარა...

კაროლინე: შენ არაფერი გითქვამს.

ლუდვიგი: სუზანე ორსულად იყო და შენ კი იმ უცნაურ...

კაროლინე: ტიპთან...

ლუდვიგი: ერთად – როდესაც ავად გახდი, ხშირად ვიდექი

საავადმყოფოს წინ. საათობით ავტოსადგომთან. მაგრამ არასოდეს მყოფნიდა გამბედაობა, რომ მენახე.

კაროლინე: რატომ?

ლუდვიგი: რატომ... პაუზა. იცინის. მგონი მცხვენოდა... მე,

ჩემი სიყვარულის მცხვენოდა. ზუსტად არ ვიცი

რატომ... ხანდახან სუზანე იმაზე მელაპარაკებოდა,

თუ როგორ დავბერდებით ერთად, როგორ მივხედავთ შვილიშვილებს და ასეთ რაღაცეებზე... იცინის.

მცხვენოდა, იმიტომ რომ სხვა გრძნობაც გამაჩნდა,

რომელიც ბევრად უფრო ძლიერი იყო; მე არ ვიცოდი

საით მიკრავდა ის თავს... მცხვენოდა, რომ არ მეყო
ძალა, ბოლომდე მივნდობოდი ამ გრძნობას. ღუმილი.
ჩვეულებრივი იყო სუზანესთან ცხოვრება...
ჩვეულებრივი. ანუ – კარგი. არაფერი იყო
განსაკუთრებული. არაფერი ცუდი. პაუზა. მშვენიერიც
იყო, მე მგონი... პაუზა. სუზანე რომ მიმეტოვებინა,
შენდამი გრძნობა, ასეთი ძლიერი, მძაფრი და
არაკონტროლირებადი — ნამლეკავდა, გამაქანებდა,
დამანგრევედა, ბოლომდე გაგვანადგურებდა. ღუმილი.
ახლა, ყველაფერი სხვანაირია. ახლა, მას შემდეგ, რაც
ედგარი აღარაა... ეს რა არის... არ ვიცი... პაუზა. ვერ
გავიგე, რანაირად უკავშირდება ყველაფერი ერთმანეთს.
რა იყო საბაბი და რა მიზეზი... პაუზა. მიყვარხარ,
კაროლინე... მიყვარხარ და დარწმუნებული ვარ, რომ არ
დამიმსახურებია... არ დამიმსახურებია, რომ სწორედ
ასეთი რამ განმეცადა. პაუზა. რა მასხარაობაა...

კაროლინე: შენ ჩემს სანოლში ერთადერთი არა ხარ, ლუდვიგ.

ლუდვიგი: გგონია არ ვიცი?

კაროლინე: არც ჩემთან ერთად იქნებოდი სხვანაირად. ერთ
ჩვეულებრივ ცხოვრებას მეორეში გაცვლიდი.

ლუდვიგი: ალბათ.

კაროლინე: საკმაო რისკია. ასეთი რამის გამოცდა... უბრალოდ,
ისე...

ლუდვიგი: ჰო.

კაროლინე: შეიძლება ძალიან არ გაგიმართლოს...

პაუზა

კაროლინე: შენს თავში ნაკლებად ხარ დარწმუნებული...

ლუდვიგი: არა, შენ ხარ შენს თავში ნაკლებად დარწმუნებული.

კაროლინე: არაა, შენ ჩემში ხარ ნაკლებად დარწმუნებული...

ლუდვიგი: და შენ ჩემში.

პაუზა

კაროლინე: ეგებ...

პაუზა

კაროლინე: მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკობ. არ მიყვარხარ.
ლუდვიგი: შენს თავში ნაკლებად ხარ დარწმუნებული.

კაროლინე: შეიძლება... მოფერებით. ყოველთვის "სვისტოკი"
იყავი, ლუდვიგ.
ნადი სახლში. აღარასოდეს არ დაბრუნდე.

8.

ოლაფის კარის წინ.

ედნა: ამასობაში, ალბათ გაგიჩდათ კითხვა,
სად იმყოფება ოლაფი?
დიახ, სადაა ოლაფი?
საერთოდ თუ არსებობს ეს ოლაფი?
და – რატომ იმალება
ჯერ კიდევ
რატომ ვერ ბედავს გამოჩენას...
ამბობენ,
ოლაფი ამ კარს იქით ცხოვრობსო...
ცოცხალია თუ არა ოლაფი,
ამ ქვედა ღრიჭოში მოჩანს...
ზოგჯერ შუქი გამოდის —
ესეიგი ოლაფს ღვიძავს,
კითხულობს, მუსიკას უსმენს ან
ფიქრობს...
ოლაფს თუ შია,
ღრიჭოდან ქალაღდს გამოაცურებს,
სადაც წერია, რისი მირთმევა სურს.
შემდეგ პეტერს მოაქვს
და კარის წინ უდებს,
თუმცა ეს იშვიათად ხდება, ქალაღდის გამოაცურება...
მე ამ ღრიჭოს

შიმშილის ნაპრალს ვუნოდებ.

ოლაფი უფრო და უფრო გახდა.

გარეთ თუ გადის ?

არასდროს.

ან როგორ უნდა გავიდე ასეთი ჩხირი,

ასეთი ძაფი ქუჩაში...

პირველივე გამვლელის ამოსუნთქვაზე

ნაიქცეოდა.

არა, ოლაფი თავის ოთახიდან აღარ გამოდის.

უბედური შემთხვევის შემდეგ დამალულია.

რას აკეთებს იქ, შიგნით ?

ხანდახან, ღამით, როდესაც მისი აზრით არავინ

დაინახავს და აღმოაჩენს,

არავინ იცნობს,

არა, მაშინაც კი არა,

მე ვდარაჯობ, თვალს არ ვაშორებ...

მე მისი მესმის...

ამისთვის გვწვრთვნიან,

სხვის მდგომარეობაში შესვლას

წარმოვიდგენ, რა ხდება ოლაფის თავში,

ოლაფის სხეულში, ოლაფის კანში...

როგორია ოლაფის თვალით დანახული სამყარო...

უკვე საკმაოდ კარგად ვიცი...

ორივე ვხედავთ

ნამდვილ ტერორისტს...

სადღაც იქ რომ დაიარება...

მაგრამ რას გეგმავს შემდგომისთვის?

რას გეგმავს?..

ეგებ ოლაფი ოდესმე

იმდენად გახდეს

არამატერიალური სიფრიფანა მკრთალი შუქივით.

რომ უბრალოდ შუქთან ერთად ღრიჭოში

გაქრეს.

გაუჩინარდეს...

გაინათებს...

და აღარ იქნება...

მოციმციმე შუქი...

ალი...

ცოტა ხნით რომ არსებობს

ჩვენს ცხოვრებაში...

9.

კაროლინე შეუკვეთავს და უმაღლ მიიღებს ამანათს,
რომლის შიგთავსსაც თამამად გასინჯავს...

როგორც ნამალს, რომელიც უნდა მიიღოს...

თავის თავს შეხედავს, დაფრთხება, შეეშინდება...

ყველაფრის თავიდან დანყება უნდა სცადოს,

სხვა უნდა გახდეს, დასაკარგი დრო აღარაა...

შემდეგ დღეს ნავა...

იმ უცხო კაცის სანახავად, ბარის თავზე სასტუმროში,
კარს შეაღებს და

იქ რაც დახვდება — ამას არ ელოდა...

რაბეს ოთახი განათებული, გადანეული ფარდები,
შუქით მოფენილი ოთახი, რაბე კი მონესრიგებული,
დაბანილი, სასიამოვნო სურნელით, თითქოს

ყველაფერი რიგზეა, რომ არა

ბინტით გადახვეული თითები...

იატაკზე კი მუქი ლაქები...

ხოლო კომოდზე წამლის ფლაკონები...

კაროლინე: მე ის ქალი ვარ, მანქანის პატრონი. მანქანა მომპარეს
და ჯართად აქციეს. ჩემს მანქანას პოლიცია მოსდევდა.
შემთხვევით...

რაბე: საბედნიეროდ, ის თქვენი შვილი არ იყო.

კაროლინე: ამას არ ვგულისხმობდი. ბოდიშის მოხდა მინდოდა.

რაბე: ჩემთან...

კაროლინე: თქვენთანაც. თუ არა ჩემი მანქანისადმი დაუდევრობა,
ეს ყოველივე არ მოხდებოდა. ალბათ...

რაბე: ალბათ.

დუმილი. კაროლინე ფანჯარასთან მიდის

ქუჩა გადათხარეს თითქმის უკვე ერთი წელია. ახალი მიწები უნდა ჩაედოთ.

შემდეგ სამშენებლო ფირმა გაკოტრდა. არაფერი გამოუცვლიათ. არაფერი განუახლებიათ. მიწები თავისთვის იჟანგება; ქუჩაზე თხრილები ისევ მიწით ამოავსეს. დღემდე გუდრონი არ დაუსხამთ. პაუზა. სინამდვილეში, აქ ყველანი ფეხებზე ვკიდევართ. დამსხვრეული უბანია, უპერსპექტივო. ადამიანები ღირსების გარეშე. ბავშვები — საკუთარი სახელების გარეშე. პაუზა. ამბობენ, რომ ომში იყავით.

დუმილი

რაბე: დიახ, ვიყავი.

კაროლინე: სად იყავით?

დუმილი

რაბე: ხელს ოდნავ გააქნევს

პაუზა

კაროლინე: რაღაც მოგიტანეთ. სურათს ამოიღებს. დიდი არაა, 50X50-ზე. თუ არ მოგეწონებათ, დანვით.

რაბე თავისი გადახვეული თითებით ფრთხილად აიღებს და ათვალთქვებს. კედელს მიადებს. დახატული ნითელი სიბრტყეა.

რაბე: ლურსმანის ჩარჭობას რაც ეხება, რთული იქნება.

შეიძლება კი პანსიონატში ამის გაკეთება?

კაროლინე: მეპატრონე ქალს ჰკითხეთ.

აკაკუნებენ. ოთახში ჩაქუჩს და ლურსმანს აწვდიან. რაბე თავად ჩააჭედებს ლურსმანს და ჩამოკიდებს სურათს. შემდეგ, როგორც იქნა, სიგარეტის გაბოლებას

შესძლებს.

ერთხანს სურათს ისე შეჰყურებენ, როგორც მედიტაციისას...

რაბე: ლამაზია.

კაროლინე: ჰო.

პაუზა

კაროლინე: მოგწონთ?

რაბე: ჰო.

კაროლინე: ამ სურათის სათაურია — "უკანასკნელი ცეცხლი".

პაუზა. ამის შემდეგ, ყველაფერი თავიდან იწყება.

პაუზა.

რაბე: მაინც ლამაზია.

პაუზა.

კაროლინე: ერთი მიზანი მაქვს... თითქმის სიცარიელის დახატვა მინდა. თითქმის უხილავი ლანდშაფტის, რომლის მნახველსაც შეეძლება, რომ გაქრეს. თუ კი საკმაოდ ღრმად გაბედავს იქ შესვლას. დუმილი. პრინციპში, მხოლოდ შუქის დახატვის.

პაუზა.

რაბე: მესმის.

დუმილი

კაროლინე: შეიშმუშნება. ჯერ ცოტა ადრეა ჩემთვის.

პაუზა.

რაბე: ამით არსებობა შეიძლება?

კაროლინე: ხატვით? არაა. ფულს ქიმნმენდაში ვშოულობ. ლაქებს ვაშორებ.

კვირაში ოთხი დღე. ამ საქმით წყალობით ხალხში ვტრიალებ. პარასკევს არ მიწევს და თუ რომელიმე ტანისამოსს დიდი ხანი არ მოაკითხეს, სახლში მატანენ. თუმცა ეს ხშირად არ ხდება.

დუმილი. კაროლინე ფანჯარასთან მიდის.

კაროლინე: ქურჩა გადათხარეს თითქმის ერთი წელია. პაუზა.

არაფერი გამოუცვლიათ. არაფერი განუახლებიათ.

პაუზა. იცოდით, რომ ბიჭის დედა იქით ცხოვრობს, ზუსტად მოპირდაპირე მხარეს?

რაბე: რა ჰქვია?

კაროლინე: სუზანე. სუზანე შრაუბე. ამ ფანჯრიდან მოჩანს მისი ოთახები.

რაბე: ჰო.

კაროლინე: საძინებელიც კი.

რაბე: იქ ფარდები მუდამ დახურულია

კაროლინე: ვერაფერს გაარჩევ.

რაბე: ჩრდილები, ჩრდილები მოჩანს, როდესაც შუქი ანთია საცოდავი სუზანე თავისი ქმრის დედას უვლის.

ალცჰაიმერი აქვს. მის გამო სამსახურიც კი მიატოვა.

რაბე: სად მუშაობდა?

კაროლინე: მუსიკას ასწავლიდა. საშუალო სკოლაში, ედგარიც იქ სწავლობდა.

რაბე: ძალიან ლამაზია.

კაროლინე: ჩუმად, გაოცებული – სუზანეა ლამაზი?

რაბე: დედამთილს ყოველდღე აბანავებს. ზოგჯერ ტირის, მარტო რომ რჩება.

ცოტას ლაპარაკობს. დროდადრო ფორტეპიანოს ხდის

თავს და უკრავს, თუმცა მისი თითები კლავიშებს

მხოლოდ ოდნავ ეხება, არ ურტყამს...

კაროლინე: დიახ, იმ სახლში მუსიკას ვერ იტანენ. სულ უჩივიან ხმამაღლა ჩართულ რადიოებს, ბავშვების ყრიაშულს.

ეზოსკენ გამომავალი ფანჯრები სულ ჩამსხვრეულია,

კიბის უფრედი კი — ბუზებით სავსე; ამასწინათ ვილაცამ

კიბის ქვეშ მდგარ საბავშვო ეტლს ცეცხლი წაუკიდა – ეს

სახლი ისეთივე ავარიულ მდგომარეობაშია, როგორც

ყველა დანარჩენი ამ უბანში, ისინი კი ხმაურს ჩივიან.

რაბე: არა, არა. ფორტეპიანო ასაწყობია. ამიტომ არ უკრავს.

არასწორი ფლერადობის გამო.

კაროლინე: ახ, ასეა. დუმილი. დიახ. დუმილი. და ყოველივე ამას

აქედან აკვირდებით. პაუზა. სხვათა შორის მის ქმარს

- ლუდვიგი ჰქვია.
- რაბე:** სუზანე და ლუდვიგი.
- კაროლინე:** დიახ. ცხრა წელია ცოლ-ქმარი არიან. პაუზა. ბედნიერი წყვილი.
- რაბე:** თქვენ საიდან იცით?
- კაროლინე:** ძალიან კარგი კაცია. ვერაფრით დაეხმარები. პაუზა. ჩემს ძუძუებს ეტრფის. ხელოვნურია. ამპუტირებული. კიბო მაქვს. ახლა ახალი ფორმები მოვსინჯე. წვეტიანი, კეგლის ფორმისა, ბალონივით მრგვალი, ნახევრად მრგვალი, არსებობს დახრილიც, ბრტყელიც და აპრეხილი თავიანი ძუძუებიც. კუბისებრი, კონუსისებური, მილისებრი და აქლემის კუზისებრიც. ვინრო და განიერკუთხოვანი. და ეს ყველაფერი ასიმეტრიულიც არსებობს. ფეტიშისტია. ბატონი შრაუბე, ხელოვნური ძუძუების ფეტიშისტი.
- რაბე:** თუ მასზე ამდენი იცით, ესეიგი ძალიან კარგად იცნობთ.
- კაროლინე:** წარმოიდგინეთ, ლუდვიგ შრაუბე არის კაცი, რომელიც ლატარეას იმიტომ თამაშობს, რომ არ მოიგოს. სწორედ ასეთი კაცია.
- რაბე:** თუ მასზე ამდენი იცით, ესეიგი ძალიან კარგად იცნობთ.
- კაროლინე:** ეს მხოლოდ ისტორიებია. ქიმნმენდაში მოყოლილი ამბები. – არიან ისეთები ვინც ფასიანი სარეცხი მანქანებით სარგებლობენ და არიან ისეთებიც ვინც სამრეცხაოში დადიან. შრაუბეებს დიდი სარეცხი, ჯერ კიდევ, სამრეცხაოში დააქვთ. ამისთვის ფულს არ ზოგავენ.
- კაროლინე:** ლუდვიგი, ანუ ლუდვიგის ძეგლი, რომელიც იმდენივე დამაინტერესებელია, რამდენივე დამაინტერესებელია ლუდვიგის ძეგლი.
- კაროლინე:** მე მასთან ერთად ვასწავლიდი, ადრე, სკოლაში. ხელოვნების ისტორიას ვასწავლიდი. საშინელი მასწავლებელი ვარ, ისევე როგორც საშინელი მხატვარი, მაგრამ ბავშვებისათვის კმარა; სკოლაც საშინელია. მერე კი, ავად გავხდი და ვმკურნალობდი; მოტვლეპილი კაროლინე, მოტვლეპილი კაროლინე; აი, ასე მეძახდნენ. ხანდახან საკლასო ოთახიდან გასვლა მიხდებოდა, გული მერეოდა, ერთხელ კი ვერ მოვასწარი და დაფის წინ

ვარწყი, მყრალი სუნი, მჟავე, დამპალი; მოსწავლეებმა დაამონმეს ჩვენება, რომ გახეთქილი მთვრალი ვიყავი, ეგებ დახმარება უნდოდათ ან პირიქით ჩემი გაშაყირება, ვინ იცის... სიმთვრალე შესაძლებელია და კიბოზე უფრო ხშირად გვხვდება, ხომ მართალია... მაგრამ ამის შემდეგ ითქვა, რომ ჩემი ავადმყოფობით ბავშვებთან მუშაობა დაუშვებელია. უნდა წამოვსულვიყავი, სხვა გზა არ იყო, უნდა წამოვსულვიყავი, უნდა წამოვსულვიყავი ...

დუმილი. რაბე ფრთხილად შეეხება ერთი ხელით.

კაროლინე: ჰო, ძალიან ვიავადმყოფე და ოპერაციებიც დამჭირდა. ღამდენჯერმე... მერე ისევ მკურნალობა და ოპერაციები – და გთხოვთ, ნუ შემეხებით, ნუ შემეხებით – რაბე ცდილობს ფრთხილად, ორივე ხელით დააწყნაროს. – მე ლამაზი არა ვარ, მე ხომ ლამაზი არა ვარ, ველარავინ ვერ მიყურებს, ფარდის მიღმაც კი...

რაბე: როგორ არა, მე გიყურებ, მე გიყურებ.
დუმილი

რაბე: გარედან რალაცეები გაკლია, მაგრამ შინაგანად ყველაფერი წესრიგში გაქვს.

კაროლინე: ჯობია ასე, ვიდრე პირიქით.

რაბე: სწორედ ეს მაკლდა. ის, რაც გაკლია.

კაროლინე: ისინი გპირდებიან, რომ არაფერი შეგემჩნევა. გპირდებიან “ჰარმონიულ გადასვლას დეკოლტეზე” და “ბუნებრივი მოძრაობის საშუალებას”. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ძალიან ნორმალურად თახთახებს. ჯანდაბას... იცი, არსებობს ძალიან სერიოზული მალაზიები, ისეთი ქალებისათვის მე რომ ვიყავი - საპენსიოდაზღვევიანი მასწავლებელი. აუცილებელი სამედიცინო მომსახურება.... ორთოპედიული ტექნიკა.... ისე უღერს, თითქოს ომის ხეიბარი ვიყო. უკაცრავად...

რაბე: მე ეს მაკლდა. ის, რაც დაზიანებულია.

კაროლინე: ჯანდაბას. არსებობს მალაზიები : Make your Boobs come true. იმ ქალებისთვის, ვინც არასოდეს ჩემნაირად არ

ყოფილან და არც არასოდეს არ სდომებიათ ჩემნაირად
ყოფნა; ქალები, რომლებსაც უნდოდათ ბომბები
ყოფილიყვნენ... კაცები, რომლებსაც სურდათ ბომბები
ყოფილიყვნენ და ნელზე ბომბებს იმაგრებდნენ,
იმისათვის, რომ თვალნათლივ ეჩვენებინათ თუ
რას გრძნობენ შინაგანად. მეც გადავწყვიტე ბომბა
ვყოფილიყავი... რომ მეჩვენებინა ის, რაც არ გამაჩნია...
რომ ამის შემცვლელი შემეფასებინა... ორიგინალზე
უკეთესია... ეს ყველაფერი ვიტრინაში შეიძლება
გამოიფინოს.

რაბე: როგორიცაა — კარგია.

დუმილი.

კაროლინე: ხელებში ტკივილის გარდა რაიმეს გრძნობთ ?

რაბე: თავს გააქნევს რაღაცას ვგრძნობ... თქვენთან ერთად...
შენ გრძნობ რაიმეს ?

კაროლინე: არც თუ ისე.

რაბე მას შეეხება, მოეფერება

კაროლინე: განახოთ ის, რაც აღარ არის —

რაბე: თავს გააქნევს

კაროლინე: უკაცრავად... ზოგიერთ კაცს უნდა. მხოლოდ
კაცებთანლა მაქვს საქმე, მათთან — ვისაც ამის დანახვა
უნდა.

რაბე: ვიცი.

კაროლინე: *დუმილი.* თუმცა, შენ ალბათ უარესიც გინახავს.

რაბე: ეს მაკლდა.

კოცნის და სახეზე ეფერება.

კაროლინეს უნდა, რომ გაიხადოს.

რაბე: არა. ასე იყავი. ასე იყავი. მაპატიე.

ტანსაცმლის გაუხდელად წვანან ერთად.

10.

სცენაზე გაივლის პერსონაჟი, რომლის იდენტიფიკაციაც შეუძლებელია. თავში ოდნავ არეული ჩანს, ჩაფიქრებულია ან შეიძლება მხოლოდ საკუთარი თავით დაკავებული. ჩვენ, ერთიმეორეს მიყოლებით, ჩვენივე საქმის კეთებისას ადგილზე ვქვავედებით, ამ ფიგურას ვაყოლებთ თვალს, სანამ პირველი გონს არ მოეგება.

ეს ოლაფი იყო!

ეს ოლაფი იყო!

11.

პეტერი:

ის კაცი, ოჯახის მამა, ქალაქის ჩრდილო რაიონის უძრავი ქონების სამმართველოში მუშაობს. მოსამსახურეა. იქ ოცნების დრო არ გრჩება. კარგად ვიცი, ადრე მეც მიმუშავია, კარისკაცად... სანამ არ გამომაგდეს... ცუდი ამბავი იყო. იქიდან ვიცნობ ამ კაცს. ბატონ შრაუბეს. მხოლოდ ჩავლისას, დილა მშვიდობისა — როგორ ბრძანდებით, დღეს თქვენთვის ფოსტა თითქმის არ მოსულა, უკვე სამი სტუმარი იცდის და ასე შემდეგ... იფხანს მას შემდეგ სამუშაოს ვეძებ... მაგრამ არ მიმართლებს. უიღბლო პეტერი. იღბალი არა მაქვს, მაგრამ მაქვს ბევრი დრო. საათობით ვასეირნებ ჩვენს ძაღლს. ოლაფი აღარ დამყვება. მაღალი დოგია. ხელით აჩვენებს. სრულიად უწყინარია, მაგრამ ავი გარეგნობის. სისხლიანი თვალებით, ასეთი, ჩამოკიდებული ლაშებით, ორჯერ აქეთ-იქით თუ გააქნევს თავს, ერთი ლიტრი კუჭის წვენი შეგესხმება „შმოტკაზე“. პაუზა. მაგრამ თუ გაბედავ და ყურის უკან მოეფერები, აი, განსაკუთრებით აქ უყვარს, აჩვენებს — რას აკეთებს იცი? თავს გულზე დაგადებს, სიამოვნებისგან კრუსუნებს, იძინებს და ხვრინვით

გაყრუებს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ნამდვილი ბოზია, თანაც ავად გამოიყურება, საშიშად, თითქოს ის-ისაა ვილაცას უნდა ეცეს... კაციჭამია, ხორცის მოყვარული, ოღონდ კონსერვის ქილიდან კი არა... და მაინცდამაინც ასეთი ცხოველს გასეირნება გინევს.

ამ ბოლო დროს კი სეირნობისას ვის ვხვდები, თუ იცით – ბატონ შრაუბეს. ისიც ტყეში დადის. რანაირად ხვდება იქ დღისით, სამუშაო დროს – წარმოდგენა არა მაქვს. რას აკეთებს იქ – წარმოდგენა არა მაქვს. ხეებს ეფერება თუ სულიერ სიმშვიდეს პოულობს... - მხრებს იჩეჩავს – არ ვიცი.

უძრავი ქონება ჩრდილოეთი – ეს ტყეც ამ ზონაში შედის; რაღაცას ზომავენ თავიდან, ტერიტორიას აღწერენ ალბათ, არ ვიცი.

ის უბრალოდ დგას. სოკოები ჯერ არ ამოსულა. ანუ – გაუგებარია.

შეიძლება სულაც არაფერს ნიშნავს. დუმს. იფხანს.

წარმოდგენა არა მაქვს – წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა გაგრძელდეს ჩვენი ამბავი. ოლაფს ბოლომდე დაუცურდა. ახლა მართლაც ნაუყენეს ბრალდება ყველა ამ ჯანდაბის გამო, არაგანზრახ მკვლელობა და ასე შემდეგ, ეს ამბავი ამ ბიჭს ბოლომდე მოუღებს ბოლოს... ხომ უნდა მისცენ რაიმე შანსი. ის ისეთი ნიჭიერი იყო.

წარსულში დავინყე ლაპარაკი – გულახდილად ვამბობ. პაუზა. მესმის მისი. მესმის ამ კაცის... როდესაც ჩემს თავს ვეკითხები, რატომ დავდივარ ტყეში – ძალღის გამო არა.

გავა და ისევ შემოვა.

სხვათა შორის ჰუმბოლტი ჰქვია. მხრებს იჩეჩავს. მე არ დამირქმევია.

გავა და ისევ შემოვა.

ვიცი, რაც გგონიათ. ამას ჩვენგან არ მოელოიან, უფრო სწორედ ჩემგან არ მოელოიან... ასე არაა, თქვენ რომ გგონიათ, განათლება არაფერ შუაშია. ჰუმბოლტჰაინის გამო ჰქვია ასე.

გაგიგიათ ჰუმბოლტჰაინი? იქ ბუნკერი დგას. მეორე მსოფლიო ომისდროინდელი. ომის შემდეგ მისი აფეთქება ვერ მოახერხეს. ახლა — საცოცი კლდეა. დგას და ერთი თავისუფალი კედელი აქვს, გლუვი, ოცი მეტრი სიმაღლის, შვერილებით. იქ ჩემი მეგობარი თავისუფალ ცოცვაში ვარჯიშობს. კვირაში ხუთჯერ ვარჯიშობს, საკმაოდ სერიოზულად. ოლაფიც ვარჯიშობდა.

ეს, წესით, მისი ძაღლია. ოლაფის. ჰუმბოლტს რომ დაუძახებს, სალამიო, ნიშნავს საცოცი კედლისკენ მივდივარო; სალამი — სავარჯიშოდ მოვდივარ; სალამი — თვითდისციპლინავ, აქა ვარ. ასეთი იყო ადრე.

პაუზა. ტირის...

უნდოდა ცოცვა პროფესიად ექცია... ეგეც არის რა. დუმს.

ახლა თავისუფალ ცოცვას შეეშვა. რამდენჯერმე ცუდად ჩამოვარდა. ჩემი ბრალი არ იყო, მაშინვე ვუთხარი: თავში კოკა - კედელიდან ჰობა. კოკაინი გაჯერებს, რომ ყველაფერი შეგიძლია, რომ ბუზი ხარ და კედელს მიენებები. კედელი კი — ასე არ ფიქრობს.

მე სამუშაო არ მქონდა და ისე დავყიალობდი, ოლაფმა კი კომპანიის გაწევა დამიწყო. ეს თავისთავად ხდება, ვერც კი მიხვდები ისე.

ახლა ყველაფერი მორჩა. სრულიად მშრალზე ვზივართ, კაპიკი ფული არა გვაქვს, ყურებამდე ვალები... მაყუთი გათავდა, კოკაინი გათავდა... და ახლა რა...

იფხანს.

რაც დაგვრჩა, მთელი ფული ძაღლზე მიდის. მე სამათხოვროდ დავდივარ, ამას კი სუპერმარკეტიდან გამოტანილ ვადაგასულ საჭმელს ვაჭმევ.

ცხადია არ ვეუბნები, რომ ძაღლისთვის მინდა.

უსახლკაროებისთვის აქვთ გამოყოფილი. ღწყილები...
რწყილების ეპიდემია არ მთავრდება. ყველაფერი შავია:

თეთრეული, ზენრები, ხის ღრიჭოებიდან გამოდიან,
ფიცრული იატაკიდან. რამდენიმე დღეა აბაზანაში
მძინავს, დრო და დროს წყალს ვუშვებ, რომ ეს მწერები
ჩავრეცხო... სანამ, ჯერ კიდევ, წყლის გადასახადს
ვიხდით.

პაუზა.

საშინლად მეშინია...

საშინლად მეშინია...

რომ სისულელეს გააკეთებს... დიდ სისულელეს

გაკეთებს...

პაუზა.

ოლაფს არაფერი უსწავლია ცხოვრებაში. ჩემსავით

კარისკაცობაც კი არა.

პაუზა.

ეჰ, რა ვქნა...

უკეთესობისკენ თუ წავა საქმე...

დაველოდებით...

12.

ერთი სიტყვით, კაროლინე

რამდენიმე დღის შემდეგ

სუზანეს მიაკითხავს სახლში.

ზარს დარეკავს

და როდესაც სუზანე კარს გაუღებს,

კაროლინე ხმას არ ამოიღებს...

ის მხოლოდ

ნახევრადშემოტრიალებული გაიშვერს ხელს

რაბეს ფანჯარისკენ, მოპირდაპირე მხარეს,

ქუჩის იქით, კარგად რომ მოჩანს...

სუზანე გაშვერილ ხელს გააყოლებს მზერას.

ასე დგანენ რამოდენიმე წამი.

სხვა კი, ამ დღეს, აღარაფერი ხდება.

არც შემდეგ დღეს ხდება რაიმე განსაკუთრებული იმის
 გარდა,
 რომ სუზანე თვალებით ზოგ მოუსვენარ და
 შფოთიან წამს უცხოს ფანჯარას ეძებს...
 მოუსვენარ და შფოთიან...
 დიახ,
 ზოგჯერ კი რაბეს სილუეტს ხედავს...
 უმაღ შეტრიალებულს,
 ნახევრად მიმალულს ფარდის მიღმა...
 როდესაც ხვდება, რომ სუზანე ხედავს...
 თუ როგორ მოურიდებლად, უინით შეპყრობილი,
 უსირცხვილოდ იყურება მის ფანჯრებში...
 და მან ეს...
 მან რაბეს საიდუმლო აღმოაჩინა...
 ან მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მას უკვშირდება.

რაბე გრძნობს, რომ ამხილეს
 გრძნობს დამცირებას, საკუთარი თავის დამცირებას.
 ახლა ის მას დასცინებს,
 შეიძლება უარესიც კი იყოს...
 კიდევ უფრო ძალიან უნდა შერცხვეს,
 კიდევ უფრო უნდა დაიმციროს თავი.

ფარდას დახურავს,
 წყვილიადს უბრუნდება...
 მიიმალება,
 საბანში გაეხვევა...
 მის ოთახში, საწოლს ქვეშ, საბნით
 ჩახუთული ჰაერია...
 ჭუჭყისჭუჭყი...
 მძღნერისმძღნერი...
 არაფრისარაფერი...
 უვარგისი ადამიანის კომპარი...
 გამოუსადეგარი ხორცის ნაჭერი...
 უმნიშვნელოცხოვრებადროსანიავეებს...
 ღვთისთვისყველაზესადრახისიუნდაგაისრისოს...

დალპიშენჭიაყელებისსაკბილე...
მტვერიმტვერიმტვერი...
მინამინამინა...
გახრწნილიგახრწნილიგახრწნილი...
მტვერიმტვერიმტვერი...
ქარინაილებს...

13.

ფრაუ შრაუბე ქუჩაზე აივლის და ჩამოივლის.
მარტოდმარტოა.

ფრაუ შრაუბე: კატა გავიდა
დილაუთენია სახლიდან...
სალამოს კი — მკვდარი იყო.

გადაუვლიან...
ზედ არ შეხედავენ...
ქუჩაში წითელი ლაქა რჩება...

რაბეს ესმის, როგორ მღერის გონებაგაფანტული ფრაუ
შრაუბე თავისთვის. ნელა გადაწევს ფარდებს.

ფრაუ შრაუბე: რაში მდგომარეობს სიხარული.
რაბე: რომელი?..

ფრაუ შრაუბე: ეს იყო... ეს ის ლაქაა... პაუზა. წამიერებით
დატკბე, აწმყოთი იცხოვრო... ჯანდაბას სისულელები,
სისულელები, სისულელები... ამაში არ მდგომარეობს
სიხარული. რაში მჭირდება ის წამიერი, თუ ხვალ აღარ
გამახსენდება. სიხარული — ამისთვის წარსულია საჭირო.
მე კი აღარ მახსენდება. მეხსიერების გარეშე ცხოველზე
ნაკლები ხარ. ცხოველზე ნაკლები ხარ...

რაბე: მე ტუსალი ვარ, თქვენსავით ტუსალი.
ფრაუ შრაუბე: დამიმტკიცეთ.
რაბე: გადაუვლიან,
ზედ არ შეხედავენ...

ქუჩაში წითელი ლაქა რჩება...

დღე რომ გათენდა,
სამნი ვიყავით.

დღის ბოლოს კი,
მხოლოდ ორიღა იყო ცოცხალი.

ჩვენი მოსვლა ღიღინით შევატყობინეთ.

როზმარის შეშინება არ გვინდოდა.

გვინდოდა სახლში მიგვეცილებინა.

ქუჩას დავუყევით სეირნობით

და ჩვენც სიმღერა დავინწყეთ.

ჩვენ ის არ დაგვინახავს,

ჩვენ იქ არ ვიყავით,

სიკვდილმა სიცოცხლეს დაასწრო...

ფრაუ შრაუბე: რა ბედნიერები ვიყავით ადრე!

რა ბედნიერები ვიყავით!

წარმოიდგინეთ, ჩვენ, ბედნიერები ვიყავით!

გახსოვთ? არ გახსოვთ?

რა ბედნიერები ვიყავით...

რაბე (რბილად): სახლში წადით, ფრაუ შრაუბე, სახლში წადით და აბაზანა მიიღეთ.

ფრაუ შრაუბე: წყალი ყინულივით ცივია. დენი არა გვაქვს.

რაბე: ომი ხომ არაა, როზმარი.

ჩვენ ის არ დაგვინახავს,

ჩვენ იქ არ ვიყავით,

სიკვდილმა სიცოცხლეს დაასწრო...

მე აღარასოდეს გაგიშვებ აქედან...

მე აღარასოდეს დაგტოვებ მარტო...

როდესაც სიკვდილი მოგაკითხავს,

ჩემთან უნდა იყო...

ფრაუ შრაუბე (დაფიქრდება): ომი არ არის? ცდილობს კარგად

რაბე: დაფიქრდეს. უკვე დამთავრდა, ხომ ასეა...
დიახ, ომი დამთავრდა.

ჩვენ ვაგრძელებთ ლილინს, სანამ
ფრაუ შრაუბე თავის ბინას არ მიაგნებს.
რაბე კი, ფანჯარას მიხურავს,
შემდეგ სუზანეს ვხედავთ —
ფანჯრის იქიდან რომ გადმოჰყურებს ქუჩას.
თავის დედამთილს ელის.
აბაზანა უნდა გაუმზადოს.
რაბეს გამოხედავს და რაღაც უნდა ანიშნოს...
ხელს ასწევს, ასწევს კი არა — უქნევს.
რაბე შეცბება, ერთი ნაბიჯით უკან დაიხევს, მერე
კი გონს მოეგება და ისიც ხელს აუნევს...
და ორივე, თითქმის ერთდროულად, მიადებს ხელს მინას
და...
ჩვენც ისე მოვიქცეთ, ვითომც ვერაფერს ვამჩნევთ...
და...
მოკრძალებულად უღიმიან
ერთმანეთს ...

14.

სუზანე: გამბედაობა არ მეყო, რომ თქვენთან უფრო ადრე
მოვსულვითყავი...

დუმბილი

რაბე: ახლა აქა ხართ.
სუზანე: ვიფიქრე — თქვენ კიდევ უფრო ნაკლებად გეყოფოდათ
გამბედაობა, რომ ჩემთან მოსულიყავით.

რაბე: ახლა აქა ხართ.
სუზანე: ერთდროულად: ამიტომაც ვარ აქ.

იცინიან, დუმან.

სუზანე მის ხელებზე მიუნიშნებს: ეს რატომ გააკეთეთ ?
რატომ გაუკეთეთ ეს თქენს თავს ?..

დუმილი.

სუზანე: ზუსტად ამის თქმას არ ვაპირებდი... პაუზა. უკაცრავად,
არ მინდოდა ამით დაგსხმოდით თავს.

დუმილი.

სუზანე: რატომ გააკეთეთ ეს... რატომ გაუკეთეთ ეს თქენს
თავს...

რაბე თავს გააქნევს: არ ვიცი, არ ვიცი.

სუზანე: თქვენ დაინახეთ... თქვენ ყველაფერი დაინახეთ... თქვენ
იქ იყავით.

დუმილი.

რაბე: დიახ, მე დავინახე. პაუზა. ლაპარაკი არ მიყვარს
მაინცდამაინც...

სუზანე: ვიცი, ომში იყავით. აქ ყველამ იცის... ახლა აქ ხართ,
მხოლოდ ერთი ჩემოდნით... და სიბნელეში ზიხართ. მე
არ დაგაძალებთ გასვლას, მე ნამდვილად არა... პაუზა.
კმარა, რომ მე... აბა სხვა ვისთან ?.. არ ვიცი, სხვა
ვისთან...

დუმილი.

ყოველ ჯერზე, როდესაც ბავშვის სახელს წარმოვთქვამ,
ისეა, თითქოს ბავშვის სახელს აღარ წარმოვთქვამ...

ყოველთვის, როდესაც ჩემი ქმრის სახელს წარმოვთქვამ,
ისეა, თითქოს ბავშვის სახელსაც ვახსენებ. ყოველ

ჯერზე ბავშვის გახსენება იმ სახელის ხსენებისას,
რომელმაც მისი სიცოცხლე ჩასახა — ისევ და ისევ მისი

გაცოცხლებაა. მიუხედავად იმისა, რომ მასაც სურს
მოსვენება. პაუზა. აღარ გავალვიძებ... წყნარად იძინე...

დუმილს ვისწავლი.

პაუზა.

რაბე: უბრალოდ სიტყვები = განსაკუთრებული სიტყვები – ეს ზედაპირულია. საიდან უნდა ვიცოდეთ, რა ესმის მეორეს... ეს ჩემი შთაბეჭდილებებია, აზრები და მოგონებები... გრძნობები. რომელი სიტყვები ესადაგება ამ გრძნობებს... ხანდახან აღარ მახსოვს, როგორ არის ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებული. სად გადაიქცევა უბრალო სიტყვები განსაკუთრებულად და სად დაემთხვევა იმას, რაც მე მინდა, სად რისი ადგილია...

დუმილი.

სუზანე: ხომ უნდა არსებობდეს რაიმე კავშირი გარე სამყაროსთან.

მის ხელებს შეეხება

რაბე: ვერაფერს ვგრძნობ... მაგრამ მუნჯივით ცხოვრება არ მინდა. მხოლოდ ამის თქმა ძალმიძს. არ მინდა ხეიბარივით ცხოვრება... ლაპარაკის გარეშე. იქნებ ვარ კიდევ, მაგრამ არ მინდა... დიახ, სადღაც უნდა არსებობდეს კავშირი ჩემსა და გარესამყაროს შორის. სიტყვები ისეთი აბსტრაქტულია, უბრალოდ ველარ ვგრძნობ სიტყვებს...

პაუზა.

სუზანე: თავდაპირველად ასეთი გეგმა დავისახე: ერთი წელი ვაპირებდი მოცდას. ერთი წელი, ან კიდევ უფრო დიდ ხანს, სანამ დამივიწყებდით... სანამ იფიქრებდით, რომ ჩემი ტკივილი იმდენად ღრმად ჩაესვენა ჩემი გულის სიღრმეში, რომ გაფართხალებაც კი მხოლოდ ამ გაფართხალების მოგონებად აღიქმებოდა და არა როგორც თავად გაფართხალება.

და მაშინ, როდესაც ასე გავცივდებოდი, მაშინ, როდესაც მისი სახელის ხსენებას შევძლებდი და ჩემს აკანკალებულ ხელებს აღარ დავინახავდი — შურს ვიძიებდი. ყველას დასჯა მინდოდა, ვისაც კი

მის სიკვდილში მიუძღოდა ბრალი. ბრალი... ამაზე არ ვლაპარაკობ. ბრალი... ჩემთვის სულ ერთია... ყველა, ვინც ამაში მონაწილეობდა.

დუმილი. მინდოდა, თქვენი ცხოვრება რაიმეს შეეცვალა... ყოველი თქვენთაგანის ცხოვრება, ისე რადიკალურად, როგორც ჩემი ცხოვრება შეიცვალა იმ დღის, იმ საათის შემდეგ. დიდი არაფერია საჭირო, მაგრამ იარა უნდა დარჩეს; მოგონება, რომელიც თავს გაშმაგებით გაგახსენებს, რომელიც არასოდეს მოგასვენებს. ყოველ შუადღეს, როდესაც საათზე თორმეტი დაჰკარვს. ყოველთვის, როდესაც მოტორს დაქოქავენ. ყოველთვის, როდესაც საფოსტო ყუთიდან წერილს ამოიღებ; როდესაც ქვეითმოსიარულეთა გადასასვლელზე გადახვალ; როდესაც ყვითელ ფერს დაინახავ. ყოველთვის, როდესაც სიტყვა «ფეხბურთს» წაიკითხავ. მაშინ გეტკინება...

მინდოდა ამ უცხო ადამიანების ცხოვრებებში შევპარულვიყავი, ისე როგორც საღებავი ხვდება ფრჩხილების ქვეშ... უმალ, შეუმჩნევლად, მოუშორებლად.

პაუზა.
მერე კი, ერთი თვითმხილველი გამოჩნდა.
პაუზა.

ერთი, რომელმაც ნახა. ერთი, რომელმაც არ შეაფერხა და რომელმაც ამის გამო დაისაჯა თავი.

პაუზა.
და აღარ ვიცოდი რა მექნა.

დუმილი, რაზე თავის ხელებს უყურებს.

სუზანე: შენ ნათელი წერტილი იყავი... ჩემთვის.

დუმილი.

რაზე: არა, არა. არა ვარ, არა ვარ. არ მინდა... ასეთი სახის მზრუნველობა... გაგება – არაარაარა... არ მინდა, არ მინდა, არ მინდა.

პაუზა.

სუზანე: წარმოდგენა არა მბექს შენზე.
რაბე: მე წამოვედი. ჩემი ცოლი იქ დავტოვე. მივატოვე. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ჩემზე ზრუნავდა. მიუხედავად იმისა, რომ მზად იყო ყველაფერი მოესმინა. თუნდაც დუმილით... რაც მჭირდებოდა, შესაძლებელი გაეხადა. ასე ეგონა. ასე უნდოდა.
 პაუზა.
 მაგრამ არც ხეიბარი ვარ და არც მსხვერპლი.
 პაუზა.

სუზანე: ყველაფერი რაც ვიცი ისაა, რომ გაგება აღარ შემიძლია. აღარ შემიძლია... აღარ შემიძლია... აღარ... ილიმება.

სუზანე: და ასე, გაგების გარეშე, ყოველივე შეუძლებელი უცებ შესაძლებელი ხდება. გესმით?...
რაბე: არა.
 ილიმება.

სუზანე: იცით, რას ნიშნავს "უბედური" -
რაბე: დაფიქრდება: უბედური..

სუზანე: ჩემს თავს ვკითხე, უბედური თუ ვარ ახლა... თუ გავხდი. „ნუ მოინყინე სუზანე“ — მეუბნება დედამთილი ყოველდღე.
 ავინყდება, რამდენჯერ მითხრა. სხვანაირად როდი შემეძლო. ჩემთან უნდა ყოფილიყო. პაუზა. მე ჩემი დედამთილისნაირად ვიქნები, და მერე, ოდესმე, ვინმე მოვა და თავზე წყალს გადამავლებს. იცინის, პაუზა. რა, ვერაფერი გამიგია, იმისათვის რომ უბედური ვიყო...

რაბე: უბედურება...
 მგონი უბედურება – ეს სიტყვა დამნაშავეებისთვისაა.

სუზანე: ესეიგი უფალია დამნაშავე რომ ჩემი შვილი მოკვდა? შემთხვევითობა იყო... ზეციური შეცდომა... ჩემი შვილი ცოცხალია, ოღონდ აქ კი არა – და თუ კი, სად არის “აქ არა”... პაუზა. მისი სიკვდილი აზრიანია, იმიტომ რომ რეალურია. პაუზა. თუ ყველაფერი ჯანდაბამდე სულერთია... და მხოლოდ საკუთარ თავს ვარწმუნებთ, რომ ის რაღაც ღრმა აზრი არ გვესმის...

რაბე: აზრი – არ არსებობს, არ არსებობს...
სუზანე: ნეტავ რა ვიცი, ჩვენ, ოდნავ უფრო მაღალი დონის მწერებმა.

რაბე: და მაინც, სულერთი ვერ იქნება. სწორედ იმიტომ, რომ არ გვესმის.
დუმილი.

სუზანე: რა უნდა გითხრა, კარგი, ნაიყვანე ძალიან ჩუმად და ფაქიზად ედგარი. ნაიყვანე ის, ვინც ჩემთვის ყველაზე საყვარელია. ყველაზე ძვირფასია... და მარტო დამტოვე. მხოლოდ ნაგავი ვარ, ჩემი ტკივილიც — მხოლოდ ნაგავია... ჩემი ტკივილი ნაგავია, არაფრად ითვლება, ნაგავი, არაფრად ითვლება...

რაბე: მაგრამ, აი ეს ნაგვის გროვა აქ, ეს ნაგავის გროვა... ხორცი, კუჭ-ნაწლავი, ძვლები, სისხლი... მე რომ ვარ, ეს რეალურია – ხომ გაიგე. ამის იმედი შეიძლება იქონიო, ამის იმედი იქონიო... პაუზა. მე აქ ვარ. მე რეალური ვარ...

ერთმანეთს კოცნიან. ძალიან ფრთხილად.
სცენაზე გაივლის პერსონაჟი, რომლის იდენტიფიკაციაც შეუძლებელია. თავში ოდნავ არეული სჩანს, ჩაფიქრებულია... ან შეიძლება მხოლოდ საკუთარი თავით დაკავებული. ჩვენ ერთიმეორეს მიყოლებით ჩვენივე საქმის კეთებისას ადვილზე ვქვავდებით, ამ ფიგურას ვაყოლებთ თვალს, სანამ პირველი გონს არ მოეგება...

ეს ოლაფი იყო!

ეს ოლაფი იყო!

16.

ოლაფის კარის წინ.

პეტერი:

ოლაფ, გამოდი! კარგი ამბავი მაქვს!
წარმოიდგინე, ოლაფ – სამსახური ვიშოვოთ.
სამსახური, მართალს გეუბნები და გადაგვიხდინან
კიდევც... ნამდვილ ფულს. უფრო სწორედ ჩვენ კი არა –
ძალღს.

ჰუმბოლტი სამუშაო იშოვა.
ტყეში მასთან ერთად ვსეირნობდი. ვილაც ტიპი
შეგვხვდა, ცოტა ხანი გვაკვირდებოდა, მე კი ამასობაში
საკმაოდ უცნაური შეგარძნება გამიჩიდა, მოვიდა და
მეუბნება:
რა ავიაო.

მე ვფრთხილობდი და მივუგე: ხომ ავად გამოიყურება.
ჰუმბოლტი მაშინვე იმ ტიპის წინ აეყუდა, ლაშები
ანეული, უღრენს, ქვევიდან ზევით, თითქოს ისაა
უნდა შეახტეს. ვფიქრობდი, იმედია ამ იდიოტს თავში
არ მოუვა, ძალღის მოეფერება. თორემ მაშინვე ენით
ალოკავდა სახეზე და მის კალთაში მოიკალათებდა.
მაგრამ ასე არ უქნია, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და
მითხრა, პატივისაცემიაო. ჰუმბოლტი კი უკანალზე
დაჯდა და გაიბადრა.
იფხანს.

მოკლედ გაირკვა, რომ ფაიფურის ქარხნის დირექტორია
და ღამის დარაჯს ეძებს. მე ამიყვანეთთქო ვუთხარი.
არა ძალღს ვეძებო. დარაჯის თანმხლებად. ავად რომ
გამოიყურება ისეთი მინდაო.

და ჰუმბოლტი სამსახურში მიიღეს!
ღმერთო ჩემო, ოლაფ, ჩვენი ძალღი სამუშაოდ მიღის.
ნაღღს მოიგანს სახლში.

დუმილი.
ღრიჭოში ქალღლდი მაინც გამოაცურე.
პაუზა.
რას აკეთებ იქ, შიგნით...

17.

კაროლინეს მკერდი გაიზარდა.

ედნა: გამიგია ამის შესახებ

კაროლინე: მერე რა.

ედნა: შეიძლება შევეხო.

კაროლინე: კი ბატონო, შეეხე.

ედნა: შ... შთამბეჭდავია.

კაროლინე: ენა კი არ უნდა დაგებას ამის გამო... თუ გინდა, კიდევ ერთხელ შეეხე. მაგისტრის დიდ ფულთან მქონდა საქმე.

ედნა: ცოტას ხომ არ აჭარბებ.

კაროლინე: არა. იაფიანები სკდება, კანს გიხეხავს, გამონაყარს გიჩენს, სინთეტიკის ალერგიას... უფასო წყლულები, არა ბატონო, სულ არ მინდა.

ედნა: მე ზომას ვგულისხმობდი, საკმაოდ ფუშფუშაა.

კაროლინე: კიდევ უფრო ივსება. ნელ-ნელა უნდა შევეჩვიო წონას. საკმაოდ მტკენს ზურგს. საბედნიეროდ ღამე ვწევარ.

ედნა: ღამე არ იხსნი.

კაროლინე: რატომ. ბუნებრივად არ უნდა გამოვიყურებოდე?

ედნა: ღამე?

კაროლინე: რასაკვირველია ღამით. აბა, როდის...

ედნა: მესმის, მესმის.

პაუზა

ედნა: ედნა ზოგჯერ კაროლინეს მდგომარეობაში შედის... თუ როგორ ხედავს იგი სამყაროს. ეს რთულია. როდესაც ამ საქმეში ხარ, სულ დამნაშავეებთან გაქვს საქმე. მაგრამ მკერდმოკვეთილი ქალი.

კაროლინე: ედნა არ დამცინის. არასოდეს. მგონი სილამაზის მცნება არ იცის რა არის. ეს მომწონს მასში.

ედნა: სიამოვნებას მანიჭებს სხვა ადამიანის მდგომარეობაში შესვლა. ედნას "მე" ნელ-ნელა უცხო ადამიანის გარემოში გადადის და ყველაფერი სხვაგვარი ხდება.

თავს სულ სხვა ადამიანად ვგრძნობ. ვფიქრობ, სულ სხვა ადამიანივით.... მაგრამ, კიდევ უფრო ბევრი უნდა

ვივარჯიშო. ჯერ მიზნისთვის არ მიმიღწევია, ჯერ არა.
კაროლინე: რა არის ეს მიზანი?

პაუზა

კაროლინე: ეი, ედნა, შენ ხარ... პაუზა. მიზანი.

ედნა: ტერორისტის... ტერორისტის დაჭერა... ტერორისტის დაჭერა, სანამ რალაცას არ ააფეთქებს. ედნა ამის საშუალებას არ მისცემს.

კაროლინე: ერთადერთი ხომ არ არის, ცოცხალი ბომბები სხვაც ბევრია.

ედნა: მეც ხომ ერთადერთი ედნა არ ვარ, მეც ბევრი ვარ.

კაროლინე: ედნა, მოდი შენთან!

ედნა: უკვე აქ ვარ, ედნა ყველგანაა, კიდევ ერთხელ დაიძახე და აქაურობა მაშინვე გაივსება.

კაროლინე: დახმარება ხომ არ გინდა ედნა, გვითხარი.

ედნა: ყურადღებით უნდა ვიყოთ. ფხიზლად, თუ შეიძლება, ფრთხილად, ფრთხილად ვიყოთ. 4 სექტემბერს სამი მკვდარი, 18-ში ორი იყო, და მეტროში 30-ში — ხუთი დაჭრილი იყო. სამი დღის წინ, ტერორისტულ აქტში...

კაროლინე: აქედან ხუთასი კილომეტრის დაშორებით მოხდა. სამხრეთში.

ედნა: ამასობაში შეიძლება კიდევ დაბრუნდა. ამ უბანში განსაკუთრებით კარგად იგრძნობს თავს, იმიტომ, რომ აქ მას უკვე დევნიდნენ.

კაროლინე: ჯერ კიდევ პროცესის გახსნას ველით. ოლაფმა არ იცის რას

მიუსჯიან... ფულად ჯარიმას, თავისუფლების აღკვეთას, მოლოდინი — სასჯელია. ნამდვილი ტერორისტია.

ედნა: ის ამასობაში მშვიდად ირჩევს შემდეგ სამიზნეს, ძალიან მშვიდად. იმიტომ, რომ მე არ ვივარჯე, მე... როდესაც შემდეგი ბომბი აფეთქდება, როდესაც ის შემთხვევით მის ახლოს მდგომ ჩვიდმეტ ადამიანთან ერთად აიფეთქებს თავს, მაშინ საიქიოში იტყვიან — ედნა ისევ უყურადღებოდ იყო. ერთი შანსი ჰქონდა და ხელიდან

გაუშვალ... ყველაფერი ჩემი ბრალია. მომავალიც კი ჩემი ბრალია.

კაროლინე: ყველაზე ცუდი ისაა, რომ ნამდვილი ტერორისტი ვინაა, არც კი ვიცით. ყველა შეიძლება იყოს. თქვენ, თქვენ, მე ან შენ იქ... ან ედნა.

ედნა: კი, მე ვარ, მე ვარ ტერორისტი, უკვე რახანია საკუთარ თავს დავსდევ...

კაროლინე: მინდა დავამშვიდო, მის ორივე ხელს ჩემს ხელებში ვათავსებ და ვეუბნები: ედნა, ერთი ხელი დამადეთ. მერე ედნას ხელებს მკერდზე დავიდებ – ეგებ ამან დაამშვიდოს.

ედნა: თავიც თუ შეიძლება. იქნებ ეს კიდევ უფრო დამანყნარებელი იყოს.

კაროლინე: ნუთინუთ ტალღისებურად ჩავისუნთქავ და ამოვისუნთქავ, ისე, რომ მკერდი მშვიდად ირწეოდეს. მკერდის რწევა...

ედნა: ქანქარიც შეგიძლია...

კაროლინე: ვნახოთ.

18.

ლუდვიგი: ლატარეის ბილეთები შევავსე და გადავიხადე. მაგრამ ეს ბილეთები არასოდეს შემინახავს. ეს ბილეთები, სამსახურში გზად, სანაგვე ყუთში ჩავყარე. სულ ერთიდაიგივე სანაგვე ყუთია, პარკის შესასვლელთან, სკამის გვერდით. ყოველთვის ერთიდაიგივეა. მე ისინი სხვა ნაგავს დავაყარე ზემოდან, არც ძალიან თვალში საცემად და არც ნამეტანი დაფარულად. ნებისმიერს შეეძლება იქიდან ამოღება და შენახვა. ნებისმიერი მიხვდება, რომ ამ გადაგდებული ბილეთების მიღმა რაღაც სისტემა იმალება; ყოველდღივად, ლატარეის გათამაშების შემდეგ, თითქმის ზუსტად რვის ნახევარზე, პარკის შესასვლელის მარჯვნივ სანაგვე ყუთში — მომავალი გათამაშების ბილეთი გდია. ხან სიგარეტის ნარჩენებით, ფოთლებითა თუ კოკა-კოლას ქილებით

დაფარული, ხან ქარისგან გაზონზე გაფანტული. ამაზე მე და მპოვნელს გავლენა არა გვაქვს. მე კი, მე ამ ბილეთებს დილით ნაგავში ვყრი. ესაა ჩემი მოვალეობა.

დუმილი

არ ვიცი, რამდენი შემთხვევითი მპოვნელი გამიმდიდრებია. არასოდეს ვუყურებ გათამაშებას. რა აზრი აქვს... მე მხოლოდ შუამავალი ვარ. მე შემთხვევითობას და ბედს ვანდობ...

დუმილი

სხვა ცხოვრებას წარმოვიდგენ ხოლმე. იმ ცხოვრებას, რომელსაც ვერასოდეს ვიცხოვრებდი. წარმოვიდგენ, როგორ პოულობს სხვა სიცოცხლე ჩემს შევსებულ ბილეთებს. ვინმე, ვინც მარტოხელა და ახალგაზრდაა, დაუოჯახებელი, მაგრამ ფართე ჰორიზონტის მქონე... ვინმე, ვისი სიცილიც გადამდებია... ვინმე, ვინც 21-ე სართულზეც კი ფეხით ადის. ვინმე, ვინც საუკეთესო მეგობარს დააშორეს და მაინც მისი ხმა ჩაესმის.

ყველას ის მიჩვენია, რომ ვინმემ იპოვოს, ვისაც ფული სულ არ სჭირდება, ვისაც სრულიად არ სჭირდება ჯეკპოტი... იმიტომ, რომ ეს უკვე კარგა ხანია გააჩნია. ვინმე, ვისაც სულაც არ სჭირდება, პოულობს ბილეთს, ჩაიდებს და იცით რა მოხდება – მას ისე გაუხარდება, ისე გაუხარდება, ისე გაუხარდება, როგორც მე ვერასოდეს გამიხარდებოდა; თავისი უსაზღვრო ბედნიერება გაუხარდებოდა...

19.

ოლაფის კარის წინ.

პეტერი: ამაში კიდევ ერთი პრობლემაა. ასე მითხრა, სახელი უნდა შეიცვალოსო. სახელი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასე დავტოვოთ. არგუმენტი... რა შთაბეჭდილება უნდა დარჩეს ქურდს, როდესაც ძაღლის წინ აღმოჩნდება, დაცვა კი დაიძახებს: ფას, ჰუმბოლდტ, ფას! ეს ნამდვილად არ გამოვა. ახლა

სხვა სახელი უნდა შევარჩიოთ... შიშისმომგვრელი, შემადრწუნებელი და დამაფრთხილებელი. ოლაფ, მითხარი რა რაიმე.

იფხანს
რამე ვარიანტები...
იფხანს.

მაგალითად – რბილად და ჩქარა ამბობს- 27 მაგიტრაკისმტყვენელი, დიდი სიჩქარის ხორცის მანქანა ან ცოცხალი ელექტროხერხი – რაღაც ეგეთი. როგორ მოგნონს ძვლები მსხვრვია, მებრძოლი აფთარი...

სისხლისმსმელი ძაღლი...
ფიქრობს დიდ ხანს
მახრჩობელა...

მახრჩობელა კარგია, მგონი.
იფხანს. გამწარებული

ჯანდაბას ეს ოხერი მწერები, ოდესმე ძილში გადაგვივლიან, ოლაფ, გესმის? ისეა, თითქოს ლეშები ვართ, ისინი კი კვერცხების დასადებად მოდიან... ჩვენს სხეულებზე, ჩვენს სხეულებში დებენ. მწერები მომაკვდავებთან მოდიან... ეს დამტკიცებულია... ოლაფ, ჯერ არ მინდა სიკვდილი... ოლაფ, გვიშველე რამე... გთხოვ, გამოდი...

დიდი პაუზა. თავს აიყვანს ხელში.
მახრჩობელა... პრობლემა ისაა, რომ ძაღლი ახალ სახელზე არ რეაგირებს... ჰგონია, რომ სხვას ეძახიან. ან იმას იფიქრებს, რომ ორია, შიზოფრენია დაეწყება. ნეტავი ეს მოდეს...

პაუზა
მოდის აქ, ჰუმბოლტ, ნადი ოლაფი მოძებნე.

20.

როზმარი: თამაშები ვიყიდე ედგარისთვის. "მემორი"... ცხოველების "მემორი"... მანქანების "მემორი". ვერ გადავწყვიტე, რომელი. ორივე ვიყიდე. პაუზა. სად არის ედგარი.

სუზანე: მიგვატოვა, დედა.

როზმარი: მიგვატოვა... სად წავიდა... ინტერნატში გაუშვეით, სამაგისო ფული სადა გვაქვს. ასეთი ნაზი ბიჭი. ამანათის გაგზავნა შეიძლება. "მემორის" გავუგზავნი. პაუზა. აჰ, დღეს ისევ თევზი გვაქვს სადილად. პაუზა. მე ამ ცხოველების "მემორის" გავუგზავნი.
დუმილი.

როზმარი: ედგარი შაბათ-კვირას სახლში მოვა.

სუზანე: არა, სახლში არ მოვა.

დუმილი

როზმარი: უფლება არა აქვს. რაღაც დააშავა.

ლუდვიგი: როგორ არ მოვა... აუცილებლად გვესტუმრება. ყოველ შაბათ-კვირას.

როზმარი: დღეს რა დღეა...

ლუდვიგი: ჭამე, დედა.

როზმარი: "მემორი" უნდა შევუხვიო. ახლავე... თუ დღეს ორშაბათია, კვირის ბოლომდე დამავინყდება. ამანათს შეფუთავს.

როზმარი: სამოგზაურო "მემორიც" იყიდებოდა. გამყიდველს ვკითხე და მითხრა სამოგზაურო "მემორი".

სხვადასხვა ქალაქების სიმბოლოები იყო დატანილი: ეიფელის კოშკი, ცისფერი მეჩეთი, რიო დე ჟანეიროს "შაქრისთავა" მთა და ა.შ. გამყიდველს მივუგე, იქ თუ არ ვყოფილვარ, როგორ უნდა გავიხსენოთქო; ვინ იქნება ყველაგან ნამყოფი, მე არ ვყოფილვარ, რომ ვთქვა, ტყუილი იქნება. ფული არასოდეს გვექონია სამოგზაუროდ; ლუდვიგ, ამას გაბრაზებული კი არ ვამბობ. ესეიგი სიმბოლოები კი არა, ტყუილებია. სამოგზაურო "მემორი" კი არა, ტყუილების "მემორია". არ მიყიდა. *სუზანეს მიმართავს.* შენ არ ჭამ, საყვარელო.

სუზანე: სხვა დროს მარტო თუ გახვალ, ერთი სიტყვით მაინც მითხარი და საცვლებში ფურცელს ჩაგიდებ-ხოლმე, როზმარი.

როზმარი: ფურცელს საცვლებში –

სუზანე: შენი სახელი, მისამართი, ტელეფონი ყოველთვის თან უნდა გქონდეს საცვლებში. ხელჩანთა სადმე რომ დაკარგო, იმ შემთხვევისთვის. საცვლებში კარგად

იქნება შენახული. თუ რაიმე შეგემთხვა ნარკოზის
გაკეთებამდე — მისამართს იპოვიან.

ლუდვიგი: ძენკვზე ჩამოკიდება სჯობს. ძენკვი პატარა
მედალიონით.

როზმარი: კარგი აზრია. წინიდან წმინდა ქრისტეფორეს ფოტო და
უკნიდან ედგარის.

*... როგორც უნდა იქნებოდეს...
... მისი კარგად გამოცდილი
... იტყვით...
... როგორც უნდა იქნებოდეს...*

*... როგორც უნდა იქნებოდეს...
... მისი კარგად გამოცდილი
... იტყვით...
... როგორც უნდა იქნებოდეს...*

როზმარი: ეს ამანათი ჩემთვისაა?

*... როგორც უნდა იქნებოდეს...
... მისი კარგად გამოცდილი
... იტყვით...
... როგორც უნდა იქნებოდეს...*

*... როგორც უნდა იქნებოდეს...
... მისი კარგად გამოცდილი
... იტყვით...
... როგორც უნდა იქნებოდეს...*

*... როგორც უნდა იქნებოდეს...
... მისი კარგად გამოცდილი
... იტყვით...
... როგორც უნდა იქნებოდეს...*

21.

სუზანე მიდის...
სუზანე ბრუნდება...
რაბე ელის...
რაბე თან ახლავს...
სადაც არ უნდა წავიდეს,
სუზანემ იცის —
ის გრძნობს
რაბე მას ეძებს და პოულობს
მისი სიტყვები უბრალო და გარკვეულია...
ნელა...

და სიყვარული...

ერთ-ერთი ჩვენთაგანი,
ერთი ხელით,
ჰაერში შემოჰკრავს
იმისათვის რომ კოლო
დაიჭიროს...

22.

ოლაფის კარის წინ. სრულიად დაკბენილია.

პეტერ:

ოლაფ, ტყეში მაინც გაასეირნე ძალი. იქ ხომ არავინ დაგინახავს. იქ თუ ვინმე დადის, ისიც უცნაურია. შრაუბე რომაა, ლუდვიგი, იმას ყოველდღე ვხედავ. ის მართლა ცუდად გამოიყურება. ხანდახან თხუთმეტი წუთი დგას ერთი ხის წინ; აქეთ-იქით დადის, ზევით იყურება, აყურადებს... რას ელის... კონტაქტი... ვიცი, შენ კონტაქტები გეზარება. შრაუბესაც ეზარება, რამდენჯერმე გამოველაპარაკე. ისე მიყურებს, როგორც კუნძს. არ დამლაპარაკებია... შენნაირად... წვიმაშიც ასე დგას. ისლა აკლია, რომ გაიხადოს და მინდორში იცეკვოს. იცინის.

დუმილი.

ოლაფ, უკვე გითხარი, რომ...

რომ მე შენ...

ოდესმე მითქვია შენთვის, რომ მე შენ...

რომ შენ მაკლიხარ.

ხმამალალი მუსიკა.

რა აკეთებ იქ შიგნით?

ღას ?

ყვირის. შემომიშვი მაინც, რომ დეზინფექცია გავაკეთო !

განმენდას იწყებს.

პაუზა.

ამ გარდამავალ ეტაპზე ვიურგერ ჰუმბოლტს დაუძახებ.

ქუჩაში ხალხი უცნაურად გვიყურებს. მხრებს იჩეჩავენ.

იმათ რა იციან შიმშილი... ფული ჩვენ გვჭირდება...

23.

სიყვარული... სიყვარული... სიყვარული...

იქნება ალბათ...

როგორ უკვირთ,

მეორეს გარემოცვაში

რომ ჩაისუნთქავ და ფილტვები ჰაერით გაგვესება...

ფანჯარას ბოლომდე გამოხსნი...

შუქი, ნიაფი, მზე,

მინდა გიყურო...

დრო არ გადის,

დრო შეჩერებულა,

ჩვენ შევაჩერეთ...

ისინი წამიერებას მისცემიან...

ეს წამიერება უსასარულოა...

მკვდარი ბავშვი მიწაში, დაუვინყარი...

მუდამ თავს ახსენებს...

წემომპალა, რომელზედაც აღმოცენდებიან,

არ დაივინყო...

უცხო სხეულის შესწავლას ბედავენ...

რაბე, გადახვეული თითებით,

სუზანეს შიშველ სხეულს ახარებს...

და ათბობს იქ, სადაც წესით სულ არ სჭირდება...

სუზანე კი დახუჭული თვალებით ითვლის

ყოველი შეხვედრისას რაბეს სხეულზე ყველა იარას

და ყოველ ჯერზე სხვა და სხვას ითვლის...

მას ისევდაისევ თავიდან ჩაეძიება...

იარა 9 თუ 12 — ძაღლის ნაკბენია... დიდი არაფერი..

იარა 17 თუ 21, მუხლთან — შუშის ნამსხვრევებში

ჩავარდნის მოგონება...

დიდი ხალი მარცხენა მკლავის ქვეშ — დაბადებიდან...

მკერდის ძვლის შუაში დიდი ჩაღრმავება —

გატეხილი და შემდეგ გადაგვარებული ძვალი.

ისეთ იარებზე, როგორც ბარძაყზე ნაკერია, მე-15 თუ

მე-16

ან სულაც მონეტისხელა რელიეფი ბეჭებს ქვეშ, მე-8 თუ

მე-11

რაბე არაფერს ამბობს...

სუზანეს თითებს ფრთხილად გადასწევს გვერდზე

და თავს მძინარედ მოაჩვენებს...

ასე კი, ძილში, სუზანე ამ უცნობ იარებს
უფრო გულითადად, უფრო მონდომებით კოცნის.
თითქოს სჯერა, რომ მისი ალერსით
მათ იმ შორეულ წარსულამდე მისდევს და აღმოფხვრის.
დაივიწყო, რისი დავინყებაც შეგიძლია...
მდუმარე საათებში,
რაბეს ოთახში,

რაბე მას პირველად ხედავს მხიარულს...
რაბე იცინის, ის მართლაც იცინის...

მხოლოდ ერთხელ გამოვლენ ოთახიდან.
სუზანე, ღია ფანჯარასთან, ქუჩის იქით იყურება.
იქნებ, ზოგჯერ ლუდვიგი გვაკვირდება...
ისე, როგორც შენ აკეთებდი ადრე...
მაგრამ, ის ხომ სახლში არაა...

მოურიდებლად დაავლებს ჩანთას ხელს და კიბისკენ
ექაჩება...

სანამ გონს მოვა,

მეტროთი ბოლო გაჩერებამდე...

იქიდან ფეხით მიდიან, მირბიან...

მირბიან, მირბიან დროის სანინააღმდეგოდ... დრო

შეჩერდა...

ერთი-ორი ზაფხული ისინი "არაბს" მეძახდნენ. ზედმეტი

სახელი ყველას ჰქონდა. არავის მხარეს არ ვყოფილვარ,

ამით ერთობოდნენ. მეცადინეობის შემდეგ სახლში

ვბრუნდებოდი და შემდეგ, მარტო დავდიოდი. არაფერს

მიშავებდნენ, არაფერს. მხოლოდ ეს ერთი სიტყვა იყო

წყალგამყოფი ჩემსა და მათ შორის. თუ, ეს სიტყვა იყო

სწორედ იმ წყალგამყოფის აღმნიშვნელი, რომელიც

ადრე და უკვე, ყოველთვის არსებობდა.

როცა სადმე მივდიოდი, ერთხელაც რომ დაეძახათ

ჩემთვის, ეი არაბო, მაშინვე ყველაზე ცუდი ადგილი,

ცივი საჭმელი და მახინჯი გოგონა მხვდებოდა. რაბე,

რაბე მქვია. დამცინოდნენ. სცხვენია, რომ არაბია.

ვცდილობდი. მართალია ტყუილი არაბი ვიყავი,

მაგრამ ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და გაბედული მინდოდა ვყოფილვითყავი. ისინი იცინოდნენ. მე კი, უცხო ვრჩებოდი. სანამ არ ვიფიქრე, კეთილი, ასე იყოს, მე თქვენთვის უკანასკნელი ნაგავი ვიქნები. თუ გინდათ, რომ ჩემი ფეხები შავი იყოს, მეც მუქკანიანი და გაუმჭვირვალე ვიყო, მაშინ ჩემი ფეხები შავი იქნება, მხოლოდ თქვენთვის. მე მათ გავეცალე და ის გავხდი, ვინც ვარ.

იქიდან ფეხით მიდიან, მირბიან... მირბიან, მირბიან დროის საწინააღმდეგოდ... დრო შეჩერდა... სულამოუთქმელად მივლენ ტბამდე.

ნიჩბოსანი მინდოდა გამოვსულვითყავი, ნიჩბოსანი. ეს ის ზაფხული იყო, ვარჯიში რომ დავინწყე. თავიდან არეულად... ბოქსი, ნიჩბოსნობა, ჭიდაობა. ბიძაჩემს ნავი ჰქონდა, რომლითაც დინების საწინააღმდეგოდ მივდიოდი ხოლმე. მდინარე, რომელზედაც ნაგავი ტივტივებდა და ფსკერი არ ჩანდა. ჩხუბი არ მინდოდა. ბრძოლა არ მინდოდა. მხოლოდ მზადყოფნა მინდოდა, ჩემს საცემად თუ მოვიდოდნენ.

მდინარის პირას დარბიან.

ლამაზი იყო. საკუთარი სხეულის დამორჩილება ვისწავლე. ლამაზი იყო. ნიჩბოსანი ჯობდა გამოვსულვითყავი და არა ჯარისკაცი. მდინარის პირას დარბიან.

წვიმიანი დღეა, მარტონი არიან, სანაპიროზე დამბალი ნაიდაგი,

ლერწამი, ბალახის იარა, შავი მინა...

ორი ფიცრის სიგანე საცალფეხო ხიდთან ნავს იპოვიან.

მდუმარედ შეჰყურებენ ნავში შიგნით ჩადებულს,

ნავზევე მიმაგრებულ ნიჩბებს.

ორ ფიცარს შორის ნავის ფსკერზე ნახვრეტია.

წყალი წვრილ ნაკადად შემოდის ნავში და ტალღების

რიტმში ისევ გაედინება.

თოკს შეხსნიან და ნავში ჩახტებიან.
არცერთი არ ცდილობს ნიჩბების მოსმას.
ზურგზე წამოწევიან და ნავს თავის ნებაზე მიუშვებენ...

24.

ბალახი მოწიეს, კულმინაციამ ჩაიარა, ბოლო ნაპასებია.

- ედნა:** კიდევ ერთხელ თქვი — კი შიჭუა — კიდევ ერთხელ თქვი.
- კაროლინე:** კი შიჭუა. არ ვიცი, როგორ გამოიყურება. არც კი ვიცი, მისი ფოტო თუ არსებობს.
- ედნა:** კარგი, მოკლედ ჩინელია. სამოცდაათს გადაცილებული ჩინელი. ნიკაპზე წვერით, ბრტყელი ცხვირი, დიდი ნესტოებით. წარმომიდგენია.
- კაროლინე:** ლოკოკინასავით ნელი. სიცოცხლის ყოველ წელს, რომელიც მისი ერთი სამუშაო ნელია, დაახლოებით ერთ სურათს ხატავდა. ამბობენ, ამბობს საკმარისიაო.
- ედნა:** ამიღწერე ეს სურათები. დიდი ხანი ვერაფერს გაარჩევ.
- კაროლინე:** ყველა მათგანი – თითქმის თეთრია. ერთი შეხედვით ოდნავ გასვრილ თეთრ ტილოს ჰგავს. უხილავი ლაქებით.
- ედნა:** მაგრამ ნელ-ნელა, როდესაც საკმაოდ დიდ ხანს უყურებ...
- კაროლინე:** ნელ-ნელა ხედები შენს წინ რა არის, რა გზები, რა ფართობები და ლანდშაფტი იშლება შენს წინ, შუქში...
- ედნა:** რომელიც თავად ნახატიდან გამოსჭვივის და რომელიც...
- კაროლინე:** აბს ჩააგდებს: და რომელიც წარმოსახვითიცაა. რალაცეები, რაც არ იყო. რაც ერთი-ორი, ოთხი შეხედვით არა ჩანს. რასაც მხოლოდ დალლილი თვალი ხედავს, ყურებისგან ცრემლი რომ მოადგა და ქუთუთო რომ უთამაშებს... სწორედ მაშინ გაჩვენებს ნელ-ნელა რეალობას.
- ედნა:** და როგორ გაუნათებია ჯერ კიდევ მოქუშული ცა თვალსიმომჭრელ მზის სფეროს. შუქი იფანტება. ის წყლის სიღრმეებში, მინასა და შენშიც აღწევს, სურათის წინ რომ დგახარ და ათვალეირებ.
- კაროლინე:** კიდევ უფრო საოცარი ისაა, რომ სწორედ შენი თვალი,

შენი გონი ქმნის ამ ფორმებს, ფერებს და სურათებს. მათ დასანახად დრო გჭირდება, ისინი დროს გართმევენ, სამაგიეროდ კი სივრცეს, სიმშვიდეს და ბედნიერებას განიჭებენ. ისინი გჩუქნიან... აბს ჩააგდებს წყალში.

ედნა: ნარმოსახვა... დიახ. მე ეს დრო მომპარეს. დრო, როდესაც შეიძლებოდა შემეცნო, თუ რისი საშუალება მაქვს. ის დრო, როდესაც ყოველივე თეთრი იყო და ნელ-ნელა ნათდებოდა. დრო, როდესაც კონტურები ჩდებოდა. ჩემი კი არა, სხვისი. ის დრო, როდესაც შენი თავისა გჯერა – მე ჩემი და არა სხვისი.

პაუზა. ნელ-ნელა ფხიზლდებიან.

ედნა: აგვისტოს იმ დღის დილა. ნათელი, ცისფერი დილა იმ დღეს აგვისტოში. ის ყველაზე მეტად მაკლია. დილიდანვე ვიცოდით, რომ ცხელი დღე იქნებოდა. ეს იყო ერთადერთი, რაც ვიცოდით.

პაუზა.

კაროლინე: ედნა, უბედური შემთხვევის ადგილას ნულარ მიხვალ. ეს შენზე ცუდად მოქმედებს.

ედნა: ვიცი. იმ ქუჩაზე ყოველდღე დავდივარ, შემდეგ იქვე, მარცხნივ, ძველ სპორტულ მოედანთან ვვარჯიშობ. ყოველდღე... ან სხვა გზით შემოვუვლი. გპირდები.

პაუზა.
თავის მტვრევა. მტვრევაჩასობანამება. თავში რალაც მესობა და მხოლოდ მაშინ ჩერდება, როდესაც მძინავს. მაგრამ თითქმის აღარ მძინავს, ველარ... ველარ... ველარ... ველარ მძინავს... გული არაფერზე მწყდება. ადრინდელზე... რომ სკოლაში აღარ ვასწავლი.

კაროლინე: თერაპიის შემდეგ რანაირად უნდა გამეგრძელებინა მუშაობა... ველარ შევძელი. ნერვებმა მილაღატა. მოსწავლეების გამო არ იყო ასე. მათი სისატიკე ძალიან უშუალოა. ოლაფმა მითხრა: ქალბატონო კაროლინე, რძის "პაჩკები" მოგაჭრეს...

კი ოლაფ, მივუგე მე, მომავალში ზევით შიშველი ვივლი... ჩემი ბიუსჰალტერის "ჩაშკები" ყავისითვის გამოგადგება... ყველაზე საშინელი კი კოლეგების ატანა იყო. ქალებისაც და კაცებისაც. მათთვის ლანდივით ვიყავი. ოთახში შევდიოდი თუ დერეფანში გავივლიდი თავს ატრიალებდნენ, თითქოს სიომ დაუბერა. არავინ შემომხედავდა. ან კიდევ უცებ ჩემს მუხლს მიაჩერებოდნენ. – აბა ეს რა ცხოვრებაა.

ედნა: რატომ მაშინვე არ იზრუნე ხელოვნურ ძუძუებზე.
კაროლინე: აბა, გამოიცანი. ყველაფერი ისე უნდა მიიღო, როგორც არის. ბუნებრიობა შეინარჩუნო. Keep it real.

ედნა: შეუცვლელი ბუნებრიობა...
კაროლინე: ნეტავ ვის უნდა ისეთი იყოს, როგორიც არის...

ედნა: მე ნამდვილად არ მინდა.
კაროლინე: პაუზა.

ედნა: ამაზე დიდი არ არის საჭირო, თუ...
კაროლინე: ჰო. – ესთეტიურიც ხომ უნდა იყოს. – ზურგს უკან რომ არ ილაპარაკონ, მკერდი კი კარგია, მაგრამ სხეული ნამეტანი პატარააო.

ედნა: შენ უნდა მოგნონდეს.
კაროლინე: მომნონდეს – მე უნდა ვათრიო. ერთ აბს ჩააგდებს.

ედნა: ერთი მითხარი, რას სვამ? უჩემოდ... ეს უკვე მესამეა.
კაროლინე: არაფერია. ზურგის ტკივილის გასაყურებლად.

ედნა: ნამეტანი არ უნდა...
კაროლინე: ...

25.
სალამოს.

ლუდვიგი: აბაზანაში ჩაჯექი რა.

როზმარი: აჰ, წყალი ყინულივით იქნება, ყინულივით იქნება, ყინულივით, ყინულივით...

ლუდვიგი: შენ ასე გეჩვენება. ნელთბილია.

როზმარი: დენის ეკონომია უნდა გავაკეთოთ. ომის გამო, ჰო.

ლუდვიგი: აქ ომი არაა.

როზმარი: უკვე დამთავრდა?
ლუდვიგი: არა, როზმარი. ჩვენთან ომი არ არის. უკვე დიდი ხანია არ ყოფილა.

როზმარი: ოჰ.
დუმილი.

როზმარი: ლუდვიგ...

ლუდვიგი: რა, დედა.

როზმარი: შეიძლება რაღაცა გკითხო... შეიძლება რაღაც გკითხო, ისე რომ არ დამცინო.

ლუდვიგი: მე არასოდეს დაგცინი. რა არის.

როზმარი: ნერვიულად, სცხვენია არ ვიცი...

ლუდვიგი: მითხარი.

როზმარი: არ ვიცი, ასე მეჩვენება, ასე მგონია – თუ – პაუზა.
ედგარი უკვე ძალიან დიდი ხანია არ მინახავს. ძალიან დაღლილი, ძალიან სასონარკვეთილი...
ძალიან დიდი ხანია აღარ.

ლუდვიგი: მოთმენით, სიყვარულით, როზმარის ხელებს დაუჭერს იცი, დედა, ედგარი მოკვდა. მანქანამ გადაუარა. პაუზა

როზმარი: ამას ვერასოდეს გავიგებ.

პაუზა

ლუდვიგი: ვიცი.

როზმარიმ გაიხადა

და აბაზანაში ჩადის.

წყალში ნვება...

ზღვაში ნვება...

ნიჟარები, ქვები, თევზები...

სიცოცხლე საიდანაც მოდის...

ლუდვიგს ჰგონია სუზანე უდგას გვერდით...

თუ ედგარი...

თუ კაროლინე...

თუ ვისია ეს ხმა, რომელიც ეუბნება —

არ ქნა...

თავს ძალას ატანს,

უფრო ხმამაღლა, უბრძანებს —
 თუ ჩემთან ლაპარაკი გინდა, ხმამაღლა მითხარი,
 ისე, რომ შენი ხმა გავიგო...
 მიაყურადებს...
 ხმამაღლა, ხმამაღლა, ხმამაღლა...
 არ მესმის შენი ხმა...
 ასე ნუ ყვირი, ამბობს როზმარი...
 კიდევ ერთი წუთით შეჩერდება, მაგრამ არანაირი ხმა
 აღარ ესმის...
 აღარავინაა, ვინც დაელაპარაკება, ყველაფერი სდუმს.

ლუდვიგი დედამისის მხრებს წყალში ჩაწევს, ერთი
 ხელის შეხება კმარა... მოხუცი ისეთი გამხდარია,
 გაძვალტყავებული, თითქმის არაფერს იწონის. ჯერ
 მხრებს, შემდეგ თავს... დედა წყალქვეშ იძირება, ამოდის,
 თმები სველია, თავი კიდევ უფრო პატარა ჩანს, ზევით
 იყურება, ლუდვიგს ახედავს, გაოგნებული, მაგრამ
 თბილად, ილიმება კიდევ, დიახ, იცინის, ერთი ხელის
 შეხება, მხრები, თავი... ნახვამდის დედა, მშვიდობით...
 კიდევ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ ამოყვინთავს, ჰაერს
 აღარ იგუბებს... თვალები დახუჭულია, სხეული ნებდება,
 გული ნებდება, ხელები გახსნილია, მისი ფილტვები
 წყალს სუნთქავს...

26.

სანამ ლაპარაკს დაიწყებს, ოლაფი დიდხანს დუმს და
 მიაყურებელს აკვირდება:
 გარეთ გასვლა სულ აღარ მჭირდება...
 მზის დანახვა აღარ მჭირდება...
 ყველაფერი, რაც მე მჭირდება, დენის კაბელის მეორე
 ბოლოზეა მიმაგრებული...
 რომელიც ჩემს ოთახში შემოდის და იჭერს
 ყველა სიგნალს, რომელიც მჭირდება...
 ჩემი უკაბელო მიმღები, ჩემი გადამცემი, ჩემი ანტენა...
 ჰაერიდან...

მე თავად გადავცემ...
 ზონარი, რადარი, ულტრაბგერები, შუქის იმპულსები...
 მწერი, ღამურა...
 მშვიდობით — ამინდს და დღის შუქს და ფიზიკურ
 კონტაქტს...
 ყველაფერი ეკრანზეა...
 გარეთ აღარაფერი მესაქმება...

თქვენთვის, თქვენი ტერორისტი უფრო მნიშვნელოვანია,
 ვიდრე თქვენი მეზობლების ბედი...

თქვენთვის, თქვენი ტერორისტი უფრო
 მნიშვნელოვანია, ვიდრე მეგობრების ბედი...

მაგრამ, იქნებ სულს ვღაფავთ...
 ჩვენ, ვისაც თქვენი აზრით, საუკეთესოდ იცნობთ...
 ბავშვობიდან...

და ვისაც ყველაზე ნაკლებად იცნობთ...
 ჩვენ, ვიზედაც ფიქრობთ, რომ უფალმა მხოლოდ სხვათა
 შორის შეგვქმნა...

ან სულაც შემთხვევით...
 ყოველ შემთხვევაში, ყველანაირი ძალისხმევის გარეშე...
 ზუსტად ასეც გამოიყურებიან, ზუსტად ასე ჩაივლის
 მათი ცხოვრებაც...

ნაგავი, ვის ცხოვრებაშიც დაბადებასა და
 გარდაცვალებას შორის მხოლოდ ნაგავი ხდება...

ნაგავია, რასაც შეეხებიან და ნაგავი, რასაც აკეთებენ...
 ნაგავი ნაგვად, უნდათ თუ არა...

რანაირად ძალუძთ, ბოროტების დაგეგმვა...
 როგორ ბედავენ მოქმედებაზე ფიქრსაც კი...

მაშინ, როდესაც მათი არსებობა მხოლოდ
 შემთხვევითია...

იქნებ ჩვენ ვარ სულაც...
 ჩვენ, უბრალონი, შეუმჩნეველნი ყოფილი მცოცავები,
 ადრე თქვენს მეზობლად

ბუზებივით რომ ვეკიდეთ კედლებზე...
 რომლებსაც, ისევე ვერ ამჩნევდით, როგორც ბუზებს

კედლებზე...
 იქნებ, ცოტა შემანუხებლად,

ბოლოს მაინც გაჩვენებთ, რას ნიშნავს მუდმივი შიშით
ცხოვრება, შიშით...

27.

ისინი ამბობენ, რომ უფრო

ყურადღებიანები უნდა ვყოფილვიყავით...

ყოველი ჩვენგანი სათითაოდ...

ყოველ ჩვენთაგანზე სათითაოდ...

ყოველზე სათითაოდ...

დიახ, დიახ, ნამდვილად, ნამდვილად, ნამდვილად...

მართალია...

ერთი ჩვენ უნდა...

შენ უნდა...

შენ უნდა...

ჩვენ ის არ დაგვინახავს...

ჩვენ იქ არ ვიყავით...

სიკვდილმა სიცოცხლეს დაანრო...

ალარასოდეს გაგიშვებ აქედან...

ალარასოდეს დაგტოვებ მარტო...

როდესაც სიკვდილი მოვა, ნ

ჩემთან უნდა იყო...

რამეთუ...

შორიდანვე ჩანდა...

რამეთუ შეიძლებოდა განსაზღვრა...

და შეიძლება რალაც...

და ჩვენ...

შეგვეძლო ეს

თავიდან აგვეცდინა...

დიახ, ნამდვილად, ნამდვილად, ნამდვილად...

ყველა ჩვენთაგანს სათითაოდ...

ასპროცენტიანია...

ახლა რომ ვფიქრობ...

28.

პეტერი: ასე მიდიოდა. გონებაგაფანტული. დაუფიქრებლად. შემეშინდა... რას აპირებდა. გზაარეულს არა ჰგავდა. მიზანდასახულად მიდოდა აქედან, სულ უფრო შორს. დავუძახე, ბატონო შრაუბე, ბატონო შრაუბე. არც მხრები აუჩიჩია, არც თავი გაუქნევია. ლუდვიგ, დავუძახე, ლუდვიგთქო; იქნებ ამით მომებრუნებინა. რაფერი... გამწვანდა; გვიმრები გაიზარდნენ, რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო ედებოდნენ ფეხებში, მუხლებში, წელზე; ახალგაზრდა ხეების ჩრდილი შემოეხვია მის ტანს, ფოთლები ფარავდნენ მის მკლავებს, ტოტები ედებოდნენ კისერზე და თმებზე. მიდიოდა და მიდიოდა, სანამ ხეებს შორის აღარ ჩანდა, სანამ სიმწვანემ ბოლომდე არ შთანთქა...

29.

შემდეგ, სუზანე რაბეს კართან დგას, ჩემოდნით ხელში... და რაბე მას კარებს ველარ მიუხურავს... ის მის ოთახში შედის და ჩემოდნის ამოლაგებას იწყებს თავის ტანსაცმელს სუფთად დაკეცილს შეალაგებს მის კარადაში... თითქოს ასეც უნდა იყოს, ისე ჩამოჯდება სანოლზე ალბათ იმის ნიშნად, რომ ერთად უნდა იყვნენ და ამიერიდან ერთად იცხოვრონ... სანამ სუზანე ჰყვება კაცზე, რომელმაც დედა მოკლა

და წავიდა...
 არავინ იცის სად, უბრალოდ გადაიკარგა...
 რაბე იმ ქალზე ფიქრობს, რომელიც მიატოვა
 და იმაზე, რომ აღარასოდეს მიატოვებს ადამიანს
 რომელსაც მასთან ერთად ყოფნა სურს...
 ასე, რომ ამ თამაშს აპყვება, რომელიც თამაში არცაა,
 რომელიც არ იცის, როგორ გავრძელდება, თუმცა
 იმედოვნებს, რომ ყოველივე კარგად დასრულდება...

გაუგებარია მან როზმარი
 წყალში ჩაახრჩო თუ უბედური შემთხვევა იყო...
 ვერ გაიგებენ...
 თვითონ როგორ უნდა დამხრჩვალყო...
 ინფაქტი თუ ინსულტი...
 გაკვეთისას ვერაფერი ვერ ნახეს...

თავისდა გასაკვირად რაბეს ეს ცხოვრება მოსწონს...
 ერთად, მხოლოდ სიყვარული...
 რითი უნდა იარსებონ, რა იქნება...
 ამაზე ფიქრი არ სურს...

მე მას საერთოდ არ ვიცნობ, არ ვიცი, ვინაა ის კაცი,
 რომელიც ჩემი ქმარი იყო. მიშველე, გთხოვ, ვეუბნებოდი
 ხანდახან, ადრე, რა უნდა ვქნა, ან ჩემთან იყავი... მაგრამ
 მის სამყაროში სისუსტე არ არსებობდა. არც ის, არც მე,
 არა გაშიშვლება, არა გამოაშკარავება, არა დათმობა.
 ასე მეგონა, მის სამყაროში, ადამიანები კორსეტებში
 იყო მოქცეული, იმისათვის რომ ერთად დაეჭირა ის,
 რასაც შეიძლება ფორმა დაკარგოდა. ამიტომ ვისწავლე
 ღუმილი და ღიმილი.

მართალია სუზანე თავად მოვიდა მასთან...
 მას რაბეს სიახლოვე სულაც არ სურს...

ახლა, იმ კაცის სახელის გამოთქმა აღარ მჭირდება.
 ორივე გაქრა, ბავშვი და მამა.
 სუზანეს მისი მოფერება არ სურს და გაყინული

დაიარება...

რევმატიზმიანივით, ყოველი მოძრაობა ტკივილს
ინვევს...

ლამით თავს შორს იჭერს, მათ შორის უფსკრულია.

ეს რაბესთვის ნაცნობია,

როცა არავის სჭირდება,

თუმცა შენს გვერდით ყოფნა სასურველია...

მიყვარს ეს გრძნობა...

ტყუილია ის, რასაც ამბობენ, თუ როგორ ხდები

ჯარისკაცი,

რომ საკუთარი თავი უნდა აღმოფხვრა, საკუთარი მე

დაივიწყო.

არასოდეს არ მიგვრძნია ჩემი თავი ასე მძაფრად,

როგორც ჯარში.

მომწონდა ეს შეგრძნება, მჭირდებოდა ეს შეგრძნება,

რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვაკეთებდი...

სპეცოპერაციებისთვის გვამზადებდნენ,

ნებაყოფლობით ნავედი,

თან ისიც დაემთხვა,

აქ ხომ ომი არაა... სადაც ვართ,

ნამდვილი ომი არაა.

ამ სიტყვას აღარ ხმარობენ.

ეს სიტყვა ხმარებიდან ამოდის.

ჩვენ კი ოპერატიული ჯგუფი ვართ.

მე ვარ ოპერატიული ჯგუფი — სუზანე.

ეს ჩვენი საველე ბანაკია.

როდის გვიბრძანებენ გასვლას

და საით მოგვინვეს წასვლა,

არ ვიცით...

რაბე იცინის.

რაბე თავის გადახვეულ ხელებს უყურებს.

ერთი რამ ცხადია —

ეს ოპერაცია მინდა ერთად მოვიგოთ.

ერთი რამ ცხადია —

მე შენ აქედან გაგიყვან.
დაჭრილები თან მიგვეყვან...
მკვდრებს ვტოვებთ...
დღეიდან ყველაფერი სხვანაირად იქნება...

პირველი სიყვარული, მეორე სიყვარული, მესამე სიყვარული, მორჩა... ყოველთვის ველოდი ჩემი ცხოვრების გამთლიანებას. რა სისულელეა, არა? სკოლა, სამსახური, რაღაც გაკლია, ქორწინება, რაღაც გაკლია, შვილების ყოლა, მაინც გაკლია რაღაც... მოლოდინი... არ ვიცოდი რისი, რომ ჩემი ცხოვრება შეივსებოდა თუ რაღაც რომ გამთლიანდებოდა... ბოლო აგური დაიდებოდა ან ბოლო კრამიტი სახურავზე, რომ წვიმა აღარ შემოვიდოდა. პაუზა.

და რაც ედგარი მოკვდა, აღარაფერი აკლია. პაუზა. ცნაურია, არა? პაუზა. არ იფიქრო, რომ ეს ის არის, რასაც ველოდი. უბრალოდ ასეა, რომ ცხოვრება მუდამ გრძელდება. ის არ დამთავრებულა და არც არასოდეს დამთავრდება, სულ ერთია, ჩვენ რა მოგვივა. ეს არც ახალი ტკივილია, არც ნუგეში. არასოდეს მთავრდება. ეს, ახლა გავიგე. დუმილი. არასოდეს მთავრდება... ყველაფერი ღიაა... ყოველთვის... დუმილი. და სწორედ ამიტომ მეშინია ახლა... ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ადრე...

ყოველთვის, როდესაც სუზანე ასე ლაპარაკობს, რაბეს უსუსურობის შეგრძნება უჩდება ხოლმე. მას სიტყვების დიდი მარაგი არ გააჩნია, მოქმედება უჩვენია.

შეიძლება თუ არა სიტყვებით მოქმედება... ზოგჯერ სუზანეს ლაპარაკისას, თავი სტკივდება. რაბე პასუხობს, რამდენადაც ძალუძს. ორი ადამიანის კვალობაზე, ამ სივრცეს საკმაო ფიქრებით ავსებენ... ამას გრძნობს... ფიქრები, ხმამაღლა გამოთქმული, და ის ფიქრები,

ორივეს თავში
 მუდმივად რომ ტრიალებს...
 ლამის გაამსხვრიონ სივრცე
 და უზომოდ საშიში რაღაც შექმნან...
 ამას გრძნობს...
 ვიღაც გვჭირდება, ვინც ჩვენს ფიქრებს მიხედავს.
 უპირველეს ყოვლისა, წყნარად მოისმენს; შემდეგ
 დააღაგებს
 და ბოლოს შეინახავს, იმიტომ, რომ ოდესმე შეიძლება
 ისევ დაგვჭირდეს...
 ახლა კი უნდა მოვიშოროთ თავიდან...
 სუზანე მდუმარედ დაუკრავს თავს.
 მათ მას მზრუნველობა შესთავებეს
 მზრუნველობა... მზრუნველობა...
 თუმცა, მან მაინც არაფერი იღონა.

30.

ედნა:

აქა-იქ ანონიმური ზარები...
 და დღეს მერამდენე...
 ტერორისტი ისევ გზაშია...
 ედნამ ვერ შეაფერხა
 ბოლო შანსი ბომბის პოვნისა...
 მისი გაუვნებელყოფისა, სანამ ადგილზე მიიტანენ.
 ბოლო-ბოლო სხვად ვიქცე,
 დავამტკიცო, რაც შემოიძლია...
 მიზანი — რესტორანი ცენტრში.
 სამუშაო საათების შემდეგ, ხალხით სავსე.
 რამდენიმე კვირაა რაც პეროქსიდი ვიშოვე...
 ქლორწყალბადის მჟავა აცეტონი...
 შემდეგ ჩემი მიცემული ნიშნის იმედად,
 ახლა, როგორც იქნა აქა ვარ...
 ბოლო-ბოლო საკუთარ თავთან მოვედი...

პაუზა
 სახლის შესასვლელი...
 რესტორანი მოპირდაპირე მხარეს.
 მოცდა, დაკვირვება...
 ჩემს ტანს ჩავხედე —
 ქამარი მიკეთია.
 ქამარი — ასაფეთქებელი ნივთიერებით...
 ვინ ვარ ?
 ჩემს ტანს ჩავხედე
 კაცი თუ ქალი
 ხელები, მკლავები, ფეხები — რას ჰგავს
 უხეშია, ნაზია, გრძელია, ჩასკვნილი, მოხდენილი...
 ჩემი ფეხსაცმელი... რა მაცვია... ფერები...
 ჩემს თმებს და სახეს ვსინჯავ ხელებით...
 ვინა ვარ... რას ვგავარ...
 ჩემს სახეს ველარ ვცნობ...
 ჯერ კიდევ დროა...
 ჯერ კიდევ დროა...
 ვხედავ, თუ როგორ მოხსნის ორი ახალგაზრდა
 რესტორანის წინ ველოსიპედებს საკეტს და მიდიან...
 საქმოსანი — ქუდი, შავი ჩანთა, გამოდის,
 ქუჩას დაუყვება ჩქარი ნაბიჯით...
 ქერა ქალი, ორი პატარა ბავშვი, გარეთ გამოკრულ
 მენიუს კითხულობს...
 გზას გააგრძელებს... წინ ბავშვი მიხტის — ჰოტ დოგი,
 ჰოტ დოგიო...
 სამი მოხუცი ქალი, ფერმკრთალი სახე ზედმეტად
 დახატული...
 გამოდიან რესტორნიდან, ჭორაობენ, ჭორაობენ,
 ჭორაობენ...
 მათ გიტარა ჩაუვლის, შიგნით ეტენება...
 მის უკან მეორე გიტარა და ლურჯი შალის პალტო...
 უკან ზურგჩანთა მოსდევს, ეძახის, ფეხს წამოსდებს,
 თითქმის ეცემა, ფეხს წამოსდებს, თითქმის ეცემა,
 ერთ ფეხზე ინარჩუნებს წონასწორობას, იცინის... სამი
 ფერმკრთალი სახე, ლაჟღაჟა წითელი პირები, იცინის და
 ჰოპლა... ფრთხილად, ქალიშვილო...

ზურგჩანთა შიგნით გაუჩინარდება...

ჯერ კიდევ დროა...

ჯერ კიდევ დროა...

გაფითრებული სახეები ერთმანეთს კოცნიან...

მე ჩემს თავს ჩავხედე —

ვინ ვარ...

როდის

გადავალ იქით და შევალ...

საათს ვუყურებ, წამების ისარს...

და ვითვლი

21- დან უკან...

31.

რატომ გამოხვედი ასე მალე ამ ბინიდან?

ის ხომ შენი იყო, ხელშეკრულებით...

აღარ მინდა ეს მოგონება,

შეგეძლო ბინა შეგენარჩუნებინა...

სამი ადამიანი დავკარგე, სამი...

იქ ჯერაც მათი სუნი ტრიალებს...

მე მათ არყოფნას ვსუნთქავ ყოველ წამს...

იქ ხომ უფრო მეტი ადგილი გვექნებოდა...

რას ყვირი...

უკაცრავად, ვერც კი მივხვდი...

თეთრად გადავლებავდი მთლიან ბინას...

არა, ყვითლად, დიას, უფრო მხიარულად, შენ რომ

გიყვარს...

კარგი, კარგი უკვე გვიანაა...

რაბეს მიცვალებულები არ აწუხებენ.

არც უგზო-უკვლოდ დაკარგულები.

ის მათ აიტანს, საკმაოდ დიდი ბინაა.

ეს კარგად იცის და ისიც, რომ რაღაც მყარი სურს...

არა ისეთი გარდამავალი, როგორც სასტუმროში

ცხოვრებაა...

წამდაუნუმ ფანჯარასთან დგას და იქით იყურება.
 ვილაცამ ნათურები დახსნა.
 სუზანე, შუქს ველარ აანთებ...
 ვილაცას თქვენი ლეიბები გააქვს...
 ხომ არ გადავიდე უცებ...
 არავითარ შემთხვევაში,
 გამეხარდება, თუ ამ აყროლებულ ნივთებს მოაშორებენ.
 ეგებ რაიმე მაინც გადავარჩინო
 ჩხუბი გინდა...
 რატომ გგონია...
 არ მინდა იმ ცხოვრების წამოღება, არ მინდა მისი
 გახსენება.

მას მისი ესმის, ესმის მისი...
 მისი ხელები, თითები, კანი ბინტის ქვეშ ექავება.
 მას მისი ესმის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამდენჯერ
 მოუწია ამდენის მიტოვება,
 ახლა რაღაც მყარი სურს, ასე ჰგონია.
 კანი ექავება ბინტის ქვეშ
 რაღაცის დაჭერა უნდა ხელებში.
 ისევ და ისევ მკვდარი ბავშვი ევლინება
 რაბე კი, ხელით ვერ ეხება.
 განსაკუთრებით ღამით, სუზანეს გვერდით რომ წევს
 ფხიზლად.
 რაღაც დაფუსფუსებს არტაშანის ქვეშ, სულ პატარა
 ცხოველები უნდა იყოს,
 რომლებიც მისი კანის მკვდარ უჯრედებს თავიანთ
 მიკროსკოპულ მარწუხებში აქცევენ.
 თავიანთ ყბებს შორის ათავსებენ, ღრღნიან და ჭამენ.
 მას ჩაძინების ეშინია, თვალს მილულავს და ყურადღებას
 არ მიაქცევს, იქნებ მისი ცოცხალი უჯრედები,
 კანი, მისი ჯანმრთელი ხორცის ჭამაც დაიწყონ... ეს
 მხოლოდ ძილშია შესაძლებელი, მისგან შეუმჩნეველად,
 გაღვიძებისას კი დაგვიანებული იქნებოდა. ისინი უკვე
 მის ხორცს გაღრღნიდნენ, მისი მყესები, ხრტილები,
 კუნთები, უკვე კარგად ექნებოდათ მონელებული,
 თავიანთი პატარა პირებით ძარღვებიდან სისხლი

ბოლომდე ექნებოდათ დალევული... ისინი მისი
 სისხლიდან და ხორციდან იკრებენ ძალას, მხოლოდ
 ძვლებილა დარჩებოდა და რომ გამოიღვიძებდა,
 მხოლოდ მისი თავი, მხოლოდ მისი ტვინილა იქნებოდა
 დარჩენილი... ის ამას იგრძნობდა, ამ თბილ ქავილს და
 ფუსფუსს ათიათასობით მწერისმაგვარი ცხოველისა,
 როგორ აღერსიანად ეფერებიან თავიანთი საცეცებით...
 ის მათ გრძნობს, როგორ ამოდიან მისი ტუჩის რიფზე,
 როგორ გადმოდიან მის ენაზე და სანამ მისი თვალის
 კაკლებს შეესევინ — ქუთუთოებს ხუჭავს, ექავება,
 ისინი წამწამების დაგლეჯვაზე გადავლენ... მალე
 ველარაფერს დაინახავს, ქუთუთუებს ქვეშ რალაც
 სითხეა, ახლა მიაბიჯებენ, თავიანთი სხეულებით
 ცხვირის ღრუს გამოჭედავენ და... მალე ჰაერიც აღარ...
 ნუ ყვირი, ნუ ყვირი,
 ნუ ყვირი...

უკაცრავად, ვერ მივხვდი...
 გეძინა, თვალეები ისევ ფართედ გქონდა გახსნილი...
 არა, არა არ მძინებია..

გცემე...
 მხოლოდ ცოტაოდენ ძილში, მაგრამ შენ ხომ არ გეძინა...
 არა, შენ არ გიცემივარ...

მგონი ბუზებს იჭერდი. შენი სიგარეტის ბოლს
 აშორებდი... მგონი ჩემი გაღვიძება გინდოდა, რომ
 ჩემთან გეთამაშა...

რომ მეთამაშა... ჰო, ჰო, ასე იქნება... რომ მეთამაშა,
 აღბათ ასეა...

სუზანე მის ხელებს დაიჭერს,
 მის ხელებს დაიჭერს, მაგრად მოკიდებს ხელს და
 გადახვეულ თითებს ეაღერსება...

ნელა და გულისყურით, მისებურად...
 მიხვდა, რომ რაბეს ეს მოძრაობა აწყნარებს.
 მე არაფერს ვგრძნობ, მე არაფერს ვგრძნობ
 მას გულზე მოეშვა მე ვერაფერს ვგრძნობ, რა კარგია

ის რაბეს მის აბებს აძლევს და ელის, სანამ ჩაეძინება რომ ამჯერად მართლა ჩაეძინება.

მან არ იცის, რა ტანჯავს რაბეს, ვერც კი წარმოუდგენია. ჩვენ ერთმანეთს არაფერს შევპირებივართ გარდა...

გაგება რომ არ ყოფილიყო ...

კარგი, კარგი, არანაირი გაგება, გეთაყვა.

ეს ისეთივე სერიოზული იყო, როგორც თამაში...

და მაინც ელაპარაკებიან ერთმანეთს.

იმდენად დიდია ოცნება ურთიერთგაგებისა, რომ ერთი — მეორეს ძილშიც კი ესაუბრება.

მაგრამ, მკვდარ ბავშვზე...

და ყველაფერზე, რაც მას უკავშირდება.

სუზანე ხმას ვერ იღებს.

მკვდარი ბავშვის ხსენებისას, რაბე უზომოდ ღიზიანდება,

თუმცა კი, ცდილობს თავის შეკავებას.

მკვდარი ბავშვი მას ისეთ დღეში აგდებს,

რომ სუზანეს ისიც კი ეგონა, ფანჯრიდან გადახტებაო...

ან მე მომისვრის და თავადაც გადმოხტებაო...

ამ ხელს ჩამავლებს და დამაძალებს, რომ ერთად

გადავხტეთო...

ან ...

მან ხომ მხოლოდ

სცადა...

ის მარტოობა, რომელმაც მომიცვა, ჩემში უცხო

არსებასავითაა. ვიცი, რომ ამას შენ ვერაფრით ვერ გაიგებ. მიდი იცინე. არა უჭირს. უცხო არსება დაიარება ჩემში, ჩემი სხეულის იმ მიდამოებშიც კი აღწევს, სადაც

არასდროს ვყოფილვარ. პაუზა. ყველაფერი, რაც მესმის, საკუთარი ნაბიჯების ექოა. ყველაფერი, რასაც ვგრძნობ,

ჩემი შევიწროებული გულია. ყველაფერი, რასაც ვხედავ, ჩემი განადგურებული სამყაროა.

რაბე ვერ იტანს, მის ასეთ ლაპარაკს.

ყველაფერზე თავს უქნევს და მოჩვენებითად

თავაზიანად ილიმება, თანაც ლამისაა გული აერიოს.
 სუზანე უყვარს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა
 იფიქროს რომ ყურს არ უგდებს.
 ზოგჯერ, ახერხებს მომდევნო დღემდე წყნარად ყოფნას
 და დავინყებას.
 მიუხედავად იმისა, რომ თავში სუზანეს სიტყვები
 დაქრიან...
 სიტყვები ერთმანეთს ხოცავენ
 მის თავში, და ის მათ ვერ აკავებს...
 ხოლო მის სხეულში, ყოველი კუნთი კრთის და
 იკრუნჩხება, მხოლოდ ერთი რამ სურთ —
 მოძრაობა.
 რაღაც უნდა გაკეთდეს, რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც
 ხმამაღალი და კარდინალური, რაღაც, რაც ყველაფერს
 ისევ მწყობრში ჩააყენებს, რაღაც ლამაზი, რაღაც
 მოწესრიგებული, რაღაც მშვიდი...
 ის, რაც ნორმალურ ყოფას აღადგენს...
 სასიამოვნოდ შესახებს...
 კარგი შესახები უნდა იყოს...
 როგორც ძალიან დიდი ხნის წინ,
 როდესაც ის ჯერ კიდევ
 ეუღლად...
 როგორ ამბობს ამაზე...
 ტკივილი...
 როგორ ამბობს ასეთ რამეს...
 მომავლის გარეშე...
 როგორ შეუძლია ასეთი რამის თქმა...
 განადგურება...
 ახლა მზად ვარ, ავიღო იარაღი, დანა, ყუმბარა.
 შემოძლია ფანჯრიდან ვესროლო ნებისმიერ შემთხვევით
 გამვლელს, თუნდაც თვრამეტ კაცს ერთიმეორეს
 მიყოლებით ან მთლიან კლასს. შემოძლია დავდგე
 სავაჭრო ცენტრში და ნებისმიერს, ვინც შემომხედავს,

ვინც ოდნავ სხვანაირად შემომხედავს, ისე რომ ჩემთვის მიუღებელი იყოს, ან არ მომეწონოს – დანის პირი ტარამდე გავურჭო პირდაპირ მუცელში, ნეკნებს შორის, შუა გულში... ამის გაკეთებას შევძლებდი. ამას გავაკეთებდი ახლა. სიამოვნებით გავაკეთებდი. ახლა.

რაბე,

რაბე,

სუზანე ძალიან ჩუმად...

ჩვენზე იფიქრე რა...

რომ ერთმანეთს შევხვდით...

რომ ერთმანეთი ვიპოვეთ...

რომ აქ ვართ...

მიუხედავად ყველაფრისა...

რაბე,

სუზანე უფრო ჩუმად...

ჩვენ აქ ვართ, ჩვენ მართლა ვარსებობთ...

ჰო, მაინც გავაკეთებდი. მეშინია, რომ ამის გაკეთება ჯერ კიდევ შემიძლია. ჯერ კიდევ, კარგა ხანი არ მორჩება ყველაფერი. ამიტომ ვარ აქ. მიტომ, თითქმის ვერ ვბედავ გასვლას. როდესაც აქ დამაცხრება ეს კოშმარი თავს, ეს ლამის კოშმარი, ეს ფიქრები, ეს იძულება, საკუთარ თავს დავაბამ, ჩემს თავს დავაბამ, ეს ასეც მიქნია, ჩემი წამლები მაქვს, დაველოდები, სანამ გადაივლის, თავს იატაკს ვურტყამ... სანამ გადაივლის... კოჭებს დავიჭამ... სანამ გადაივლის... ჩემს აბებს მივიღებ და გული წამივა, სანამ გადაივლის...

სუზანემ უნდა უყუროს

როგორ დაიბამს თავს.

უნდა რომ ხელი შეუშალოს,

ის კი ემუქრება.

ეს ჯარში ისწავლეთ

საკუთარი თავის გაკოჭვა? —

გახუმრება სცადა.

მე მტერი ვარ, სუზანე, მე მტერი ვარ.

სუზანეს სახეზე ცრემლები მოდის,
გაცინება სურს...
რაბე განრთვნილია, ორ თოქს გამოაბამს
სანოლის ბოლოს და მარყუყებში
ჩადებს ფეხებს.
ერთ მაჯას ხელბორკილით მიაბამს სანოლს...
როგრც კი გაინვეს, ფეხებზე მარყუყები უჭერს.
ეს ჩქარა ხდება...

ახლა უფრო მშვიდადაა...
თავს აჩვენებს, ვითომ ჩასთვლიმა...
რომ სუზანემაც შეძლოს დაწყნარება...
ის მის გვერდით წევს იატაკზე...
მის თვალებს კოცნის,
მის სხეულს ეფერება.
რაბე ელის, სანამ მის სუნთქვას
ძილის რიტმში არ შეიგრძნობს.

მაშინ კი უამბობს
თითქმის ჩურჩულით, უხმოდ უამბობს
რა იხილა და რა შეემთხვა.
რაბე მას ამას ძილში უამბობს, რომ იცოდეს, ისე...
რომ მოსმენა არ დასჭირდეს, ისე რომ სიბრაალული არ
აღეძრას, ისე
რომ არაფერი ატკინოს, ისე...
რომ პასუხის გაცემა არ მოუწიოს, მისგან რეაქციას არ
ელის...
ამას ღამით ამბობს...
წყვედიადით მოცულ სივრცეში...
ხოლო სიო, მის სიტყვებს, სასმენი მილებით გადასცემს...
სუზანეს ძილში, მასში ჩადირავს...
მისმინე, სუზანე, ეს ასე იყო...

საგუშაგოზე ვიდექი, ხოლო კართან განგაში ატყდა.
გარეთ ოჯახი იდგა, ბავშვი
ექირათ. ბავშვი უგონოდ მამას ეჭირა ხელში. დავინახე,
ბავშვის მუცელი არაბუნებრივად გაბერილიყო. ხოლო

საფეთქელზე ჭრილობა ჰქონდა. სანიტარს დაუძახე და ბავშვი საკაცეზე დაგანვინეთ. მამა, დედა და და-ძმა გვერდით იდგნენ. ხელები მუცელზე დავადე. გაბერილი ადგილი გამაგრებულიყო და არადრეკადი. ბავშვის ხელი დავიჭირე. მას სახეზე ბუზი დააჯდა და ხელი ავუქნიე, მის ლოყას მოვეფერე. თვალები გაახილა, შემომხედა და სული განუტევა.

ედნა:

32.

სახლის შესასვლელი... რესტორანი მოპირდაპირე მხარეს... ჩემს ტანს დავხედე, ქამარი მიკეთია. ქამარი ასაფეთქებელი ნივთიერებით ვინ ვარ... ჩემს ტანს დავხედე... კაცი თუ ქალი... ხელები, მკლავები, ფეხები, რას ჰგავს... უხეშია, ნაზია, გრძელია, ჩასკვნილი, მოხდენილი. ჩემი ფეხსაცმელი... რა მაცვია... ფერები... ჩემს თმებს და სახეს ვსინჯავ ხელებით. ვინ ვარ... რას ვგავარ... ჩემს სახეს ვერ ვცნობ... საათს ვუყურებ, წამების ისარს... და ვითვლი, 21- დან უკან. შემდეგ კი, შვიდი წამია, სანამ გადავალ ქუჩის იქით და პირაპირ სამიზნემდე... ქალი შემოუხვევს, მე რომ მიყვარს... შემოუხვევს და რესტორანში შედის. ქალი, რომელიც მიყვარს... დუმილი კაცი, რომელიც მიყვარს... დუმილი

ბავშვი, რომელიც მიყვარს...

დუმილი
ხუთი, ოთხი, სამი,
სიჩუმე,
სიჩუმე,
სიჩუმე...

ჩემს ტანს დავხედე...

ქამარი არ მიკეთია...
ჩემს სახეს ვერ ვცნობ...

ხუთი, ოთხი, სამი...
ქუჩის იქით, მეორე მხარეს,
მიდის ვილაც...

ვილაც
ადამიანი...
შედის... ვინ,
სად...
ორი, ერთი, ნული...

33.

დღეს უნდა შეხსნან.
დღეს ვნახავთ.
სუზანე რაბეს ფრთხილად შეხსნის ბინტს.
კი არ გადაუხვევს, მხოლოდ შეხსნის.
სუზანე განსაკუთრებით აღნიშნავს...
რამდენი ხანია, რაც ერთად ვართ, ჯერ არასოდეს
მიგრძნია შენი შიშველი ხელები.
ნარმოიდგინეთ, ეს არცთუისე ნორმალურია...
დღეს ზეიმობდნენ... შამპანურიც კი იყიდა.
რაბე თავიდანვე უგუნებოდაა.
ამ ამბის უბრალოდ გადაგორება ერჩია.
მიდი რა ჩქარა, ჩქარა...
მოაძრე ბინტები, ჩამოასხი შამპანური და დავიძინოთ.

მხოლოდ ხვალ გონზე მოსვლა...
ერთი წყნარად შემახედე, რა, უკვე მორჩა, დაწყნარდი
რა...

ათივით, მაგრამ არც ისე კარგ მდგომარეობაში. წინ სულ
დასახიჩრებული...

ღმერთო ჩემო, შენ რას ელოდი, დასახიჩრებულია აბა
რა... რას ღრიალებ ამის გამო?

რა, რა, რა წარმოიდგინე, რომ ისე გამოვიყურები,
თითქოს მანიკური მქონდეს ახალი გაკეთებული?
არა, მაგრამ...

რა, რა, რა...

დღეს ნამდვილად ისეთი ხარ, კაცს გადაჩვევა
მოუნდება...

შენ დაიწყე, მე კი გიყურებ რამდენი ხანი გასძლებ...

მაგრამ, შენ ხომ არაფერი გამოგდის. მარტო, ალბათ ორ
ტიპს შორის კარგი იქნებოდა ასეთი პატარა შუალედი,
ან სანამ ისევ გაიდგამ სადმე ფესვებს, სადაც სულაც
არ გინდა ყოფნა და ამას მხოლოდ ათი წლის შემდეგ
ხვდები, მაგრამ როგორ უნდა ჩამოხვიდე ამ ტანდემიდან.
ამიტომაც, კიდევ რამდენიმე წელი ერთად ატრიალებთ
პედლებს, სანამ ოდესმე, დაღლილობისაგან,
გასავათებული არ წაიქცევი...

რაბე, მე ეს მესმის...

გთხოვ, არაფერი... გთხოვ, არაფერი... გთხოვ, არაფერი
გაიგო, შენ ხომ შემპირდი...

წავიდე...

არა, არა რასაკვირველია, არა, დარჩი...

მე ისე მტკივა გული, ისე განვიცდი იმას, რაც ხელებზე
მოგივიდა...

პრინციპში ედგარის ბრალია... ესეიგი ჩემი ბრალიცაა...

ჩემს თავზე ავიღებ პასუხისმგებლობას...

რა სისულელეა...

რა სისულელეა, მე რომ იქ არ ვყოფილიყავი, იმ საათს,
ცხრამეტი აგვისტოს თავარა მზიან შუადღეს, თუ
ვინმეს ბრალია? მე ვერაფერი ავიცილე თავიდან, რისი

აცილებაც შემეძლო...

ახლა ყვირილს ნუ მორთავ...

მომიყევი...

ჩემი ხელები მის ბურთზე მედო...

მხოლოდ ერთი ნუთი ან ნაკლები...

სარქველს ვეძებდი,

ბურთს თითის ბალიშებზე ვატრიალებდი და ვსინჯავდი მასში დარჩენილ ჰაერს.

მხოლოდ გასაბერი იყო, ვერ დაარტყამდი.

პირველმა მანქანამ ჩაიქროლა,

ჩვენგან ძალიან ახლოს.

ედგარი

შეკრთა

და ქუჩაზე გადარბენა უნდოდა. სახლში, სახლში,

ჩემთან, ჩემთან უნდოდა...

რასაკვირველია...

ხედავ, რომ ჩემი ბრალია, მხოლოდ ჩემი ბრალი.

გაჩუმდი...

ჩემი ბრალი...

ნულარ ამბობ...

შენი ხელები... ედგარის სიკვდილი ჩემი ბრალია...

მოკეტე რა...

რაბე ურტყამს...

ეს ისე მალე ხდება, რომ თავადაც უსკდება გული.

დაარტყამს და კიდევ ერთხელ დაარტყამს...

სუზანე გაოგნებული, გაცოფებული თავს ხელში

აიყვანს... სიტყვის უფლება არა აქვს... გაცოფებულია...

ჩემი ბრალია, რომ ედგარი მოკვდა, რომ როზმარი

მოკვდა...

რაბე ურტყამს...

თითქოს, გულს მოეშვება კიდევ...

მან არ მისცა უფლება სწორედ იმიტომ, რომ

გაუჩერებლად ლაპარაკობს... არ ჩერდება და მას

ანგარიშს არ უწევს...

ის ისევ ურტყამს

ლუდვიგი რომ აღარ არის, ჩემი ბრალია... რომ გაქრა,
ჩემი ბრალია...

რაც მასთან გადმოვიდა, ხომ სულ ინვეეს... რაც
მასთან გადმოვიდა, სულ ამ წყეულ სიტყვებს ამბობს,
მიუხედავად იმისა, რომ მას არ უნდა და ეხვეწება, რომ
გაჩუმდეს, მოკეტოს...

ახია ჩემზე, ახია ჩემზე... იცი, რომ მან მომატყუა, მგონი
მომატყუა...

სუზანეს სისხლი მოსდის და ყვირის...

ჩემი ბრალი...

რაბე ურტყამს...

არაფერია, არაფერია, არაფერია მისი ბრალი...

არასოდეს ყოფილა... ის უდანაშაულოა და მას ის

უყვარს... ნეტავი ბოლოსდაბოლოს შეიგნოს, მაშინ

ორივე უკეთ იქნებოდა... ნეტავი შეიგნოს, რომ საკუთარი

თავის ტანჯვას აზრი არა აქვს... ტანჯვას წარსულზე

ფიქრებით... და ვინ, რა, რატომ... ის ისე დაიღალა,

რომ დაღლილობისგან ურტყამს, რადგანაც სუზანე

მათ მომავალს ყოველდღე ლაპარაკით სპობს... მაგრამ

სუზანეს სისხლი სდის... მაგრამ სუზანე წინააღმდეგობას

უნევს... რაბეს იატაკზე მწოლიარე ურტყამს ფეხებს და

შუა კუჭში, მუცლის რბილ ნაწილებში გაარტყამს... მისი

არ ეშინია...

სულ არ ეშინია... მას იმ იოტისოდენი ცხოვრების

შენარჩუნება უნდა, რომელიც დარჩენია და სანამ თავის

პირში იგემებს რკინას, რაბესადმი მისი სიყვარული

ისეთი უზომოა, რომ შეიძლება მოკლას კიდეც... იმიტომ,

რომ ისე უყვარს, რომ მომაკვდავსაც კი ნახავდა...

იმიტომ, რომ ასე ძალიან უყვარს და მერე მოისვენებდა

რაბეს შიშები და წამლები... აღარ შეანუხებდა და

ისინი ერთად გაიხარებდნენ, მხოლოდ გაიხარებდნენ

ერთმანეთით ისე, როგორც უნდა უხაროდეთ და სხვა

არაფერი... ვილაც კი, ამას ხელს უშლის...

მას მარჯვენა თვალში რაღაც მოხვდება... გვერდით

გადავარდება, ტელეფონს დაავლებს ხელს და მთელი

ძალღონით გაუქანებს რაბეს თავში... როდესაც მის

ზევიდან გადმოიხრება, ის ახლა ხვდება, თუ ვინ უშლის

მათ სიხარულს... ხელს თავად უშლიან ერთმანეთს...
ხელს ბედნიერებაში და სწორედ ამიტომ ანადგურებენ
ერთმანეთს... ერმანეთში გამანადგურებელს სპობენ,
რომ მშვიდობა მოიპოვონ... ერთად მისდამი ნაზი
ლტოლვა ისეთი მძაფრია, რომ მისი მოფერება სურს,
მაგრამ ამის ძალა აღარ შესწევს...

აზრზე არა ვარ... ჩანოლილი ნისლი, ზედაპირული
მეხსიერება... რამე მოხდა? ფრაგმენტები, სურათის
ნაგლეჯი, რომელიც რჩება... რაღაც დაუმთავრებელი,
დაფლეთილი ქაღალდები, რაღაც მახვილკუთხიანი,
თავიდან რომ ვერ ამოიგლეჯ... რაღაც საშინელი, რისი
მოშორებაც გინდა...

მოგონება...

მოგონება...

დროზე მოიშორე...

რაზე იატაკზე დაგდებულ სუზანეს უყურებს...

მის გვერდით ჩაიცუცქება...

რა ჩამიდენია...

ის სუნთქავს...

რისი ჩადენა ძალმიძს...

ხელში იყვანს და ლოგინზე აწვენს...

ის სუნთქავს...

რისი ჩადენა ძალმიძს...

უნდა, რომ მან იცოცხლოს...

უნდა, რომ ის იპოვონ...

დიდ კოცონს გააჩაღებს...

რომ უფრო ადვილად იპოვონ...

თავადვე იქნება ცეცხლი...

თავადვე იქნება ცეცხლი...

მისთვის მოგიზგიზე...

კანისტრას გახსნის

და თავზე ბენზინს გადაისხავს...

...მოცი თავის სანთებელას ჩამოკრავს...
მეტირეც ვა... სოჭონა ფელომპ ად ინასტოციმფეგ პუტა
მუტონს ინვის...
იქამ ინასტონ უასოფ... მოციონი ინასტოციმპ ნო...
პოლს ამ უკანასკნელი ცეცხლი... პირველი ცეცხლი...
...მეტირეც პოლს ილას მინა მისეგან

ეპილოგი

არცერთი ჩვენგანი აქ აღარ ცხოვრობს.
მე ციხეში ვზივარ.
ისევ
ხდება, შე ძველო...
მე მოვკვდი...
მეც...
მე, როგორც იქნა, სამსახური ვიშოვე, მზარეულად.
მხოლოდ პატარა საჭმელის ჯიხური, მაგრამ გდანსკში
მე კიდევ დაკარგული ვარ.
თუ მკითხავენ, ვეტყვი რომ დავქვრივდი,
ორჯერ დავქვრივდი
და იარები მომიჩნა.
ხშირად არ მეკითხებიან.
მე გადავედი, საით? სტაციონალურად...
აღარ გვინახავს ერთმანეთი.
ჩემს საფლავთან არასოდეს მოდიან.
არავინ მოდის საფლავთან სანახავად...
მე კი ვწევარ და ველი და ველი...
მეც მკვდარი ვარ და არავინ მსტუმრობს...
და სულაც არ ველი. ასე კოხტად მოთავსებული
მარმარილოს ანგელოზიანად...
და ასე შემდეგ... მე ერიკა მფარავს...
მის აყვავებას უკვე ცხრა თვეა ველი.
არც ერთი ჩვენგანი აქ აღარ ცხოვრობს.
ხატვას შევეშვი.
მის ნაცვლად, ეროტიკული პროტეზების სპეციალური
მაღაზია...

კლიენტებს თავად ვურჩევ...
 მე გადავედი, საით ? ამბულატორულად
 ერთმანეთი აღარასოდეს გვინახავს...
 მაშ, ნელ-ნელა სახლში გავუყვით, სუროსა და ჭიებში...
 ჰო, ამ ყუთს ისევ ქვა დაახურე...
 მაგრამ, უფრო ხშირად, ამოდი მაგ სოროდან...
 ერთად, ამ სუფთა ჰაერზე...
 მოდი, ერთხელ, ვარსკლავებს განახებ...
 რანაირად, შენგან ხომ მხოლოდ ნაცარი დარჩა...
 ერთმანეთი აღარასოდეს გვინახავს...
 მე ციხეში ვარ და
 არ დავბრუნდები. მე მოვტყდები იქიდან...
 მე მოვტყდები იქიდან... ახლა, ახლა, ახლა ან
 არასდროს...
 თავისუფალი გასვლა... არ გამაცინო...
 ისე ვიზამ, როგორც ჩიტები შემოდგომაზე...
 დაველოდები როდის დაუბერავს სიო...
 ავფრინდები და
 გავფრინდები აქედან...

თარგმანი: ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი